ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ნათია გულაღაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის მაგალითზე

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე

თბილისი

2019 წ

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემა გახლავთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი''-ს მაგალითზე, ნაშრომში მოცემულია ორი თავი, რომელიც მოიცავს რამოდენიმე ქვეთავს და სხვადასხვა საკითხია ყველა მათგანში განხილული.

პირველ თავში საუბარია ზოგადად ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებზე , რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო და როგორ ხდება ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

რა განაპირობებს ანგარიშგების უტყუარობას და სანდოობას , იმისთვის რომ ძირითადი და სხვა მომხმარებლებისათვის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იყოს დამაჯერებელი და შეძლონ გადაწყვეტილების მიღება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციაზე დაყრდნობით . ასევე განხილულია თუ ვინ არინ კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და რა კრიტერიუმები არსებობს იმისთვის, რომ წარდგენილი ინფორმაცია ნამდვილად იყოს საიმედო და სწორი. ამისთვის არსებობს ხარისხობრივი მახასიათებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სხვა კრიტერიუმებს.

პირველ თავში ასევე განხილულია , კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად როგორ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ამისათვის. ამ თავში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თითოეული ელემენტი ცალ-ცალკეა განხილული.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავი კი უკვე ეხება კონკრეტულ კომანიას: სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი'' , რომლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაა წარმოდგენილი და ნაჩვენებია როგორ გამოითვლება სხვადასხვა მუხლები. მოცემულია კომპანიის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა , რომლის მიხედვითაც აწარმოებენ ბუღალტრულ საქმიანობს და ის მუხლები, რომელიც შიდა პოლიტიკით აქვთ გაწერილი შედარებული მაქვს შესაბამის ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტებს, მაქვს ასევე გაკეთებული დასკვნები, თუ რამდენადაა მასთან შესაბამისობაში. ბოლო ქვეთავში კი გაკეთებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანალიზი და მოცემულია მოსაზრებები ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

Natia Gulaghashvili

Annotation

Financial position reporting on the example of JSC Insurance Company GPI Holding

The subject of the Master's thesis is: Financial Statement Reporting In the case of JSC Insurance Company GPI Holding, the topic contains two chapters that are disbanded and various issues are discussed in all of them.

The first chapter deals with the conceptual basis of preparation of financial statements, what are the conditions necessary to meet the enterprise and how to prepare financial statements.

What stipulates the credibility and credibility of reporting, in order to provide information on basic and other users to be convincing and able to make decisions based on financial statements. Also reviewed by the company's financial statements submitted by the company and what criteria there is that the information presented is really reliable and correct. For this there are qualitative characteristics and qualitative features that enhance the usefulness of information which in turn covers other criteria.

The first chapter also discusses how the recognition and evaluation of the financial statements are based on conceptual basis and what criteria they need to meet. Each element of the Financial Status Report is reviewed separately.

The second chapter of the research project already deals with the concrete company, in this case my research was represented by JSC Insurance Company GPI Holding, whose financial position is presented and shows how different articles are calculated. The company's internal

accounting policy is based on the accounting activities and the articles that I have in domestic policy compared to the international accounting standards, I have also made conclusions about how much they are in compliance with it. In the last subdivision, the analysis of the financial position is analyzed and the opinions on financial position are given.

შინაარსი

შესავალი 7

თავი **1.** ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პრინციპები 9

1.1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლები 9

1.2.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება 33

თავი **2.** ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პრინციპები საწარმოს მაგალითზე 47

2.1.სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი''-ს სააღრიცხვო პოლიტიკა 47

2.2.სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი'-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიგების მომზადება 68

2.3.სს ,, სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი-ს'' ფინანსური მდგომარების ანგარიშგების ანალიზი 82

დასკვნა 87

გამოყენებული ლიტერატურა 90

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საკითხს სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი-ს მაგალითზე. გამომდინარე იქიდან, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს მეწარმეთა კანონის მოთხოვნებით ყველა საწარმოს უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული ბუღალტერია და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიშგება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაც ერთ-ერთია იმ ხუთი ანგარიშგებიდან , რომლებისგანაც შედგება ფინანსური ანგარიშგება და ძალიან საინტერესოა თუ რამდენადაა დაცული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები სხვადასხვა კომპანიებში.

საბაზრო ეკონომიკაში სადაზღვევო ინდუსტრიის ზრდისა და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქტუალურია ეკონომიკის ამ სექტორის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპების შესწავლა .

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სტრუქტურისა და ელემენტების შესწავლა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში. განვიხილავთ ფინანსური მდგომარეობის არსს, შედგენის პრინციპებს ცალ-ცალკე და ინფორმაციის მომხმარებლებს, ასევე მეორე ქვეთავში დავახასიათებთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტებს, განვიხილავთ მათი აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენისათვის.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის პრინციპების და ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ასევე სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანალიზი.

ჩემი ამოცანაა ზემოთხსენებული შესწავლილი მასალა გამოვიყენოთ კონკრეტული კომპანიის მაგალითზე , ჩემს შემთხვევაში ესაა სს ,, სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი'' და შევადაროთ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან არის თუ არა თანხვედრაში.

კვლევისათვის გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების აღიარება და შეფასებისას და კონცეპტუალური საფუძვლები, რომელიც ბაზაა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. ასევე საკვლევი კომპანიის აუდიტის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება .

თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პრინციპები

1.1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება, რომლის მიზანი მომხმარებლებისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა, არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მომხმარებლებისათვის წარდგენა საწარმოს ხელმძღვანელობას ევალება. საწარმო ვალდებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოამზადოს და წარადგინოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომლის სრული პაკეტი მოიცავს:

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- ✓ პერიოდის მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- ✓ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- ✓ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ✓ განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარდგენა რომელიც გამოადგება მომხმარებელთა ფართო წრეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს მასში მოცემულია ინფორმაცია აქტივების და ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შესახებ, პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის, ანუ საწარმოს რესურსებისა და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა მოცემული თარიღისთვის.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენი მიზანია1 არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის, მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვას, გაყიდვას ან დატოვებას და ასევე სესხების გაცემას ან დაფარვას და დაკრედიტების სხვა ფორმებს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებენ არსებული და პოტენციური ინვესტორები იმის შესახებ, იყიდონ, გაყიდონ თუ დაიტოვონ წილობრივი და სავალო ინსტრუმენტები, დამოკიდებულია იმ უკუგებაზე, რომლის მიღებასაც ისინი მოელიან ფინანსურ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციიდან, როგორიცა, მაგალითად დივიდენდები, დავალიანების ძირითადი თანხისა და პროცენტების გადახდა, ან საბაზრო ფასების ზრდა. ანალოგიურად, არსებული და პოტენციური გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების გადაწყვეტილებები სესხებისა და სხვა ფორმის კრედიტების გაცემის, ან დაფარვის შესახებ, დამოკიდებულია გადასახდელ ძირითად თანხასა და პროცენტებზე, ან სხვა სახის უკუგებაზე, რომლის მიღებასაც ისინი მოელიან ინვესტიციიდან. ინვესტორების, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების მოლოდინი

ინვესტიციიდან უკუგების მიღების შესახებ, დამოკიდებულია იმაზე, რა შეფასებას მისცემენ ისინი საწარმოს მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების ოდენობას, მათი მიღების ვადებსა და მასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას (პერსპექტივას). მაშასადამე, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ესაჭიროებათ ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება კონკრეტული საწარმოს მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების პერსპექტივის შეფასებაში.

იმისათვის, რომ შეაფასოს საწარმოს პერსპექტივა მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების პოზიციიდან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ესაჭიროებათ ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რამდენად რაციონალურად და ეფექტიანად შეასრულა საწარმოს ხელმძღვანელობამ და მმართველმა ორგანომ საწარმოს რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებები. ამგვარ ვალდებულებებს განეკუთვნება საწარმოს რესურსების დაცვა ეკონომიკური ფაქტორების არახელსაყრელი ზემოქმედებისგან, როგორიცაა, მაგალითად ფასებისა და ტექნოლოგიების ცვლილებები და ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ საწარმომ დაიცვას მოქმედი კანონები, სხვა ნორმატიული აქტები და სახელშეკრულებო დებულებები. არსებული და პოტენციური ინვესტორების, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების გადაწყვეტილებებისთვის, ვისაც გააჩნია ხმის უფლება ხელმძღვანელობის მოქმედებების განსაზღვრის საკითხში, ან სხვა მხრივ აქვს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ხელმძღვანელობის მოქმედებებზე, ასევე სასარგებლოა ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ ასრულებს ხელმძღვანელობა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

ბევრ არსებულ და პოტენციურ ინვესტორს, გამსესხებელსა და სხვა კრედიტორებს არ შეუძლიათ, ანგარიშვალდებულ საწარმოებს მოსთხოვონ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ მათთვის და ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშებს, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან ძირითადი მომხმარებლები, რომლებზედაც ორიენტირებულია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშები. თუმცა, საერთო

დანიშნულების ფინანსური ანგარიშები არ მოიცავს და შეუძლებელია, რომ მოიცავდეს მთელ ინფორმაციას, რომელიც ესაჭიროებათ არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს. ზემოაღნიშნულ მომხმარებლებს სჭირდებათ სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებაც, როგორიცა, მაგალითად საერთო ეკონომიკური პირობები და მოლოდინები, პოლიტიკური მოვლენები და პოლიტიკური კლიმატი და დარგისა და საწარმოს პერსპექტივები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ **საწარმო ფუნქციონირებს** და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც. ე.ი. იგულისხმება, რომ საწარმო არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას, ან თავისი საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას. ხოლო თუ ასეთი განზრახვა ან აუცილებლობა არსებობს, მაშინ შესაძლოა საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადება სხვა საფუძველზე, რომელიც აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია ფართო კატეგორიებად, მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო კატეგორიებს უწოდებენ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს. ბუღალტრულ ბალანსში ეს ელემენტები წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით; ამ მაჩვენებლების მიხედვით ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება. მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტებია შემოსავლები და ხარჯები, რის საფუძველზეც ფასდება საწარმოს საქმიანობის შედეგები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში, როგორც წესი, ასახულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტები და ბალანსის ელემენტების ცვლილებები. შესაბამისად, კონცეპტუალურ საფუძვლებში დახასიათებული არ არის ის ელემენტები, რომლებიც მხოლოდ ამ ანგარიშგებაში აისახება.

ზემოაღნიშნული ელემენტების ასახვა ბუღალტრულ ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გულისხმობს მათი ქვეჯგუფებად დაყოფის პროცესს.

მაგალითად, აქტივები და ვალდებულებები შეიძლება დაჯგუფდეს საწარმოს საქმიანობაში მათი დანიშნულების, ან ფუნქციების მიხედვით, რათა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია მაქსიმალურად სასარგებლო იყოს მომხმარებლისათვის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

ფინანსური ანგარიშგების **ელემენტების აღიარება** ხდება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანხმად და არის, საწარმოს ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს. აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ის მუხლები, რომლებიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, უნდა აისახოს ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. აღნიშნული მუხლების აღიარებაში დაშვებული შეცდომების გასწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც მათი ასახვით ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებსა თუ სხვა ახსნა-განმარტებით დანართებში.

მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის განმარტებას, უნდა აღიარდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ:

ა) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა - ალბათობის ცნებას იყენებენ ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული ელემენტის აღიარებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლის განსაზღვრისას. ეს ცნება დაკავშირებულია იმ განუსაზღვრელ გარემოსთან, რომელშიც საწარმოს უწევს საქმიანობა. მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის მიმართ გარემოს განუსაზღვრელობის ზემოქმედების ხარისხის შეფასება ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებულ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. და

ბ) მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს , რაც გულისხმობს რომ ღირებულება ან თვითღირებულება უნდა შეფასდეს.

გონივრული შეფასებების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია და არ ამცირებს მათი საიმედოობის ხარისხს. მაგრამ თუ შეუძლებელია მოცემული ელემენტის საიმედოდ შეფასება, იგი არ აისახება საწარმოს ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. მაგალითად, საწარმოს სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს, შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს ფულადი სახსრების მიღება, რომელიც თავისთავად აკმაყოფილებს აქტივისა და შემოსავლების ცნებას და მისი აღიარების ალბათობის კრიტერიუმს. მაგრამ თუ ამოსაღები თანხის საიმედო შეფასება შეუძლებელია, იგი არ აისახება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც აქტივი ან შემოსავალი. მაგრამ მოთხოვნების არსებობის ფაქტი უნდა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

რეზერვების შექმნა ზოგჯერ მოითხოვება წესდებით ან კანონმდებლობით, მესაკუთრეებისა და კრედიტორების ზარალისგან დამატებითი დაცვის მიზნით. შეიძლება შეიქმნას სხვა რეზერვიც, თუ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ათავისუფლებს საწარმოს გადასახადისაგან ან ამცირებს საგადასახადო ვალდებულებას, როდესაც ასეთი რეზერვი იქმნება. ბალანსში ამგვარი სამართლებრივი, საკანონმდებლო და საგადასახადო რეზერვების არსებობას შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის. რეზერვების შექმნა უფრო მიღებული შემოსავლების შენარჩუნებაა, ვიდრე დანახარჯების გაწევა.
საწარმოს ბალანსში ასახული საკუთარი კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. როგორც წესი, საკუთარი კაპიტალის ჯამური სიდიდე შეიძლება მხოლოდ შემთხვევით უდრიდეს საწარმოს აქციათა ჯამურ საბაზრო ფასს ან თანხას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს წმინდა აქტივების ცალ-ცალკე, ან მთლიანად საწარმოს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს გაყიდვით.

ბასს 1 ,,ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება''-ის მიზანია უზრუნველყოს, რომ საწარმოს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება და ამ ფინანსური ანგარიშგებით მოცული საანგარიშგებო პერიოდის ნაწილის შუალედური ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენდეს მაღალი ხარისხის ინფორმაციას, რომელიც:

ა) გამჭვირვალე იქნება მომხმარებლისათვის და შესადარისი ყველა წარდგენილი პერიოდის;

ბ) უზრუნველყოფს შესაფერის ამოსავალ ბაზას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით აღრიცხვის საწარმოებლად; და

გ) შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი დანახარჯებით, რომელიც არ აღემატება მომხმარებელთათვის მისაღებ სარგებელს.

საწარმომ ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის უნდა მოამზადოს და წარადგინოს ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ეს არის ფასს შესაბამისი აღრიცხვის ამოსავალი ბაზა.

საწარმომ ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ფასს-ის შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფასს-ის შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა ემორჩილებოდეს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საწარმომ არ უნდა გამოიყენოს ფასს-ის სხვადასხვა ვერსია, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ახალი ფასს, რომელიც ჯერ კიდევ სავალდებულო არაა, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი გამოყენება.

საწარმომ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ა) უნდა აღიაროს ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა აღიარება მოთხოვნილია ფასს-ის მიხედვით;

ბ) არ უნდა აღიაროს მუხლები აქტივებად და ვალდებულებებად, თუ ფასს-ით არ დაიშვება ასეთი აღიარება;

გ) ხელახლა უნდა მოახდინოს ისეთი მუხლების კლასიფიცირება, რომელსაც მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით აღიარებდა, როგორც ერთი სახის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს, მაგრამ წარმოადგენს განსხვავებული სახეობის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს ფასს -ის თანახმად; და

დ) უნდა გამოიყენოს ფასს ყველა აღიარებული აქტივისა და ვალდებულების შესაფასებლად.

საწარმოს მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის სტანდარტების თანახმად განსაზღვრული შეფასებები შესადარისი უნდა იყოს ამავე თარიღისათვის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით გამოთვლილი შეფასებების (სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების ამსახველი შესწორებების შემდეგ), თუ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ის შეფასებები მცდარი იყო.

საწარმომ ფასს-ზე გადასვლის თარიღის შემდეგ შეიძლება ინფორმაცია მიიღოს იმ შეფასებებზე, რომელიც განსაზღვრა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით. საწარმო ისევე უნდა მიუდგეს ამ ინფორმაციის მიღებას, როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს ბასს 10-ის ,,საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები'' _ თანახმად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ისე უნდა იყოს შდგენილი რომ გასაგები იყოს ინფორმაცია მისი მომხმარებლებისათვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომხმარებლები იყოფა 2 ჯგუფად :

1. ძირითადი მომხმარებლები; და
2. დანარჩენი მომხმარებლები.

ძირითად მომხმარებლებს მიეკუთვნებიან: ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები

დანარჩენი მომხმარებლები: მმართველობა და საზოგადოება.

როგორც აღვნოშნეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენი მიზანია არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის, მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვას, გაყიდვას ან დატოვებას და ასევე სესხების გაცემას ან დაფარვას და დაკრედიტების სხვა ფორმებს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებენ არსებული და პოტენციური ინვესტორები იმის შესახებ, იყიდონ, გაყიდონ თუ დაიტოვონ წილობრივი და სავალო ინსტრუმენტები, დამოკიდებულია იმ უკუგებაზე, რომლის მიღებასაც ისინი მოელიან ფინანსურ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციიდან, როგორიცა, მაგალითად დივიდენდები, დავალიანების ძირითადი თანხისა და პროცენტების გადახდა, ან საბაზრო ფასების ზრდა. ანალოგიურად, არსებული და პოტენციური გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების გადაწყვეტილებები სესხებისა და სხვა ფორმის კრედიტების გაცემის, ან დაფარვის შესახებ, დამოკიდებულია გადასახდელ ძირითად თანხასა და პროცენტებზე, ან სხვა სახის უკუგებაზე, რომლის მიღებასაც ისინი მოელიან ინვესტიციიდან. ინვესტორების, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების მოლოდინი ინვესტიციიდან უკუგების მიღების შესახებ, დამოკიდებულია იმაზე, რა შეფასებას მისცემენ ისინი საწარმოს მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების ოდენობას, მათი მიღების ვადებსა და მასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას (პერსპექტივას). მაშასადამე, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ესაჭიროებათ ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება კონკრეტული საწარმოს მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების პერსპექტივის შეფასებაში.

იმისათვის, რომ შეაფასოს საწარმოს პერსპექტივა მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების პოზიციიდან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ესაჭიროებათ ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რამდენად რაციონალურად და ეფექტიანად შეასრულა საწარმოს ხელმძღვანელობამ და

მმართველმა ორგანომ საწარმოს რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებები. ამგვარ ვალდებულებებს განეკუთვნება საწარმოს რესურსების დაცვა ეკონომიკური ფაქტორების არახელსაყრელი ზემოქმედებისგან, როგორიცაა, მაგალითად ფასებისა და ტექნოლოგიების ცვლილებები და ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ საწარმომ დაიცვას მოქმედი კანონები, სხვა ნორმატიული აქტები და სახელშეკრულებო დებულებები.

არსებული და პოტენციური ინვესტორების, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების გადაწყვეტილებებისთვის, ვისაც გააჩნია ხმის უფლება ხელმძღვანელობის მოქმედებების განსაზღვრის საკითხში, ან სხვა მხრივ აქვს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ხელმძღვანელობის მოქმედებებზე, ასევე სასარგებლოა ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ ასრულებს ხელმძღვანელობა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

ბევრ არსებულ და პოტენციურ ინვესტორს, გამსესხებელსა და სხვა კრედიტორებს არ შეუძლიათ, ანგარიშვალდებულ საწარმოებს მოსთხოვონ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ მათთვის და ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშებს, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან ძირითადი მომხმარებლები, რომლებზედაც ორიენტირებულია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშები.

თუმცა, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშები არ მოიცავს და შეუძლებელია, რომ მოიცავდეს მთელ ინფორმაციას, რომელიც ესაჭიროებათ არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს. ზემოაღნიშნულ მომხმარებლებს სჭირდებათ სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებაც, როგორიცა, მაგალითად საერთო ეკონომიკური პირობები და მოლოდინები, პოლიტიკური მოვლენები და პოლიტიკური კლიმატი და დარგისა და საწარმოს პერსპექტივები.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშები იმისთვის არაა განკუთვნილი, რომ გვიჩვენოს ანგარიშვალდებული საწარმოს ღირებულება; თუმცა, ზემოაღნიშნული ანგარიშები შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც არსებულ და პოტენციურ

ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ეხმარება ანგარიშვალდებული საწარმოს ღირებულების შეფასებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გასაგები და ინფორმაციული რომ იყოს და შეეძლოს მოახდინოს გავლენა მის მომხმარებლებზე აუცილებელია იყოს შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი. კონცეპტუალურ საფუძვლებში ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მაჩვენებლები დაყოფილია ორ ჯგუფად :

1) **ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები;** და
2) **ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობას.**

სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები ადგენს ინფორმაციის ისეთ სახეებს, რომელიც სავარაუდოდ, ყველაზე მეტად სასარგებლოა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის, გამსესხებლებისა და დანარჩენი კრედიტორებისთვის, ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად მათ ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის (ფინანსური ინფორმაციის) საფუძველზე.

იმისთვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, ის უნდა იყოს შესაბამისი და სამართლიანად წარმოაჩენდეს იმას, რისი ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა უფრო მაღლდება, თუ ის შესადარისია, შესაძლებელია მისი შემოწმება, დროულია და აღქმადი.



სქემა1.1 - ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები.

როგორც გრაფიკზე ჩანს, ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები მოიცავს: სამართლიან წარდგენას და შესაბამისობას.

შესაბამის ფინანსურ ინფორმაციას შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ინფორმაციას იმ შემთხვევაშიც შეუძლია ზემოქმედება მომხმარებლების გადაწყვეტილებაზე, თუ ზოგიერთი მათგანი გადაწყვეტს, არ გამოიყენოს ის, ან ეს ინფორმაცია უკვე ცნობილია მისთვის სხვა წყაროებიდან.

შესაბამის ფინანსურ ინფორმაციას მაშინ შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, თუ მას გააჩნია საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისება, ან ორივე ერთად.

ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება (ღირებულება), თუ მისი გამოყენება შესაძლებელია ამოსავალ ბაზად იმ პროცესებში, რომლებსაც მომხმარებლები იყენებენ მომავალი შედეგების პროგნოზირებისთვის. იმისათვის, რომ ინფორმაციას ჰქონდეს საპროგნოზო ღირებულება, აუცილებელი არაა, რომ თვითონ ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი პროგნოზის ფორმით. ფინანსურ ინფორმაციას, რომელსაც საპროგნოზო თვისება გააჩნია, მომხმარებლები იყენებენ საკუთარი პროგნოზების გამოსათვლელად. ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია შესადარისობის თვისება, თუ ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებს (ადასტურებს ან ცვლის) ადრე გაკეთებულ შეფასებებზე.

ფინანსური ინფორმაციის საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ინფორმაციას, რომელსაც გააჩნია საპროგნოზო თვისება, ხშირად გააჩნია ასევე დამადასტურებელი თვისებაც. მაგალითად, ინფორმაცია მიმდინარე წლის ამონაგების შესახებ, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მომავალი წლების ამონაგების პროგნოზირების საფუძვლად, შეიძლება ასევე შევუდაროთ მიმდინარე წლის ამონაგების პროგნოზს, რაც გამოთვლილი იყო წინა წლებში. ამგვარი შედარების შედეგები მომხმარებელს ეხმარება იმ პროცესების/მეთოდების შეცვლასა და გაუმჯობესებაში, რომლებიც წინა პერიოდებში გამოიყენა პროგნოზების გამოსათვლელად.

ფინანსური ანგარიშები, ეკონომიკური მოვლენების შესახებ, წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და ციფრების მეშვეობით. ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, ის არა მარტო შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების შესახებ უნდა გვიქმნიდეს წარმოდგენას, არამედ ასევე სამართლიანად უნდა წარმოაჩენდეს იმ მოვლენებს, რომლის ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. იმისთვის, რომ ინფორმაცია იდეალური იყოს მოვლენების სამართლიანი ასახვის თვალსაზრისით, მას უნდა გააჩნდეს სამი მახასიათებელი: უნდა იყოს სრულყოფილი, ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს.

ცხადია, იდეალურობის მიღწევა იშვიათად არის შესაძლებელი, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია. ფასს სტანდარტების მომზადებასთან დაკავშირებით საბჭოს მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად აამაღლოს ინფორმაციის ზემოაღნიშნული თვისებები.

სრულყოფილი ასახვა გულისხმობს ყველანაირი ინფორმაციის მიწოდებას, ყველა აუცილებელი აღწერილობისა და განმარტების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მომხმარებელმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმ ეკონომიკური მოვლენების შესახებ, რომელიც უნდა ასახოს ამ ინფორმაციამ. მაგალითად, ჯგუფის აქტივების სრულყოფილი ასახვა, როგორც მინიმუმი, გულისხმობს ჯგუფის აქტივების ხასიათის აღწერას, ჯგუფის ყველა აქტივის რაოდენობრივად გამოსახვას, ასევე იმის განმარტებას, რას ასახავს მოცემული ციფრობრივი მონაცემები (მაგალითად, პირვანდელ ღირებულებას, კორექტირებულ ღირებულებას თუ რეალურ ღირებულებას). გარდა ამისა, ზოგიერთი მუხლისთვის სრულყოფილი ასახვა შეიძლება გულისხმობდეს ამ მუხლების ხასიათსა და რაოდენობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების განმარტებას, იმ ფაქტორებისა და გარემოებების ახსნას, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მათ რაოდენობასა და ხასიათზე და ასევე რაოდენობრივი მონაცემების განსაზღვრისთვის გამოყენებული პროცესის აღწერას.

ნეიტრალური ასახვა გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის შერჩევას, ან წარმოდგენას მიუკერძოებლად. ნეიტრალური ასახვა არ გულისხმობს ტენდენციურობას, ორიენტაციას იმაზე, რომ მომხმარებლების ყურადღება მიმართოს რომელიმე

მიმართულებით, წინასწარგამიზნულად რაიმეზე გაამახვილოს, ან პირიქით შეასუსტოს მათი ყურადღება, ან რაიმე სხვა გზით მოახდინოს ზემოქმედება მომხმარებლის მოსაზრებებზე, რათა გაიზარდოს იმის ალბათობა, რომ ფინანსურ ინფორმაციას მომხმარებლები მიიჩნევენ ხელსაყრელად ან არახელსაყრელად. ნეიტრალური ინფორმაცია არ აღნიშნავს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც არ გააჩნია არანაირი მიზანი, ან არანაირ ზეგავლენას არ ახდენს მომხმარებლების ქცევებზე. პირიქით, შესაბამის ინფორმაციას, განმარტების თანახმად, შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, მათი შეცვლა.

სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში. შეცდომების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური მოვლენების აღწერაში საერთოდ არ იარსებებს შეცდომა, ან არაფერი იქნება გამოტოვებული, ან წარმოდგენილი ინფორმაციის მისაღებად პროცესი უშეცდომოდ იყო შერჩეული და გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, შეცდომების არარსებობა არ ნიშნავს აბსოლუტურ სიზუსტეს ყველა ასპექტში. მაგალითად, შეუძლებელია არადაკვირვებადი (არაემპირიული) ფასის ან ღირებულების შეფასების მიკუთვნება ზუსტი, ან არაზუსტი ინფორმაციის კატეგორიებზე. თუმცა, ამგვარი შეფასების წარდგენა შეიძლება სამართლიანი იყოს, თუ თანხა ზუსტად და ნათლად იქნება დახასიათებული, როგორც შეფასებითი მნიშვნელობა, ახსნილი იქნება შეფასების პროცესის ხასიათი და მისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები და შეცდომები დაშვებული არ იყო შეფასებითი მნიშვნელობის დასადგენად სათანადო პროცესის შერჩევასა და გამოყენებაში.

სამართლიანი წარდგენა, თავისთავად, ყოველთვის არ უზრუნველყოფს ინფორმაციის სარგებლიანობას. მაგალითად, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ძირითადი საშუალებები შეიძლება მიიღოს სახელმწიფო გრანტის მეშვეობით. ცხადია, ანგარიშგებაში იმის ჩვენება, რომ საწარმომ აქტივი უსასყიდლოდ (ნულოვანი ღირებულებით) მიიღო, უზრუნველყოფს მისი თვითღირებულების სამართლიანად წარდგენას, მაგრამ ეს ინფორმაცია, სავარაუდოდ, არ იქნება ძალიან სასარგებლო. შედარებით უფრო რთულ მაგალითად გამოდგება იმ თანხის შეფასება, რომლითაც უნდა გაკორექტირდეს აქტივის საბალანსო ღირებულება, რათა აისახოს აქტივის ღირებულების გაუფასურება. ამგვარი შეფასება შეიძლება უზრუნველყოფდეს

სამართლიან წარდგენას იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებულმა საწარმომ აქტივის გაუფასურების შესაფასებლად სათანადოდ გამოიყენა შესაბამისი პროცესი, სწორად დაახასიათა მოცემული შეფასებითი მნიშვნელობა და განმარტა ყველანაირი განუსაზღვრელობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე. თუმცა, თუ ამგვარ შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა ძალიან მაღალია, ამგვარი შეფასება, მაინცდამაინც, სასარგებლო ინფორმაცია არ იქნება. სხვა სიტყვებით, ამ შემთხვევაში, აქტივის შესახებ სამართლიანად წარმოდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობა ეჭვს ბადებს. თუ არ არსებობს უფრო სამართლიანი წარდგენის სხვა საშუალება, მაშინ ზემოაღნიშნული შეფასებითი მნიშვნელობა შეიძლება საუკეთესო ხელმისაწვდომი ინფორმაცია იყოს.

იმისთვის, რომ სასარგებლო იყოს, ინფორმაცია უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე სამართლიანად წარმოდგენილი. მომხმარებლებს გადაწყვეტილებების მიღებაში ვერ დაეხმარება ვერც სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია შეუსაბამო ეკონომიკური მოვლენების შესახებ და ვერც არასამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების შესახებ.

ინფორმაციის მიმართ ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენების/გათვალისწინების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი პროცესი, როგორც წესი, შემდეგნაირად გამოიყურება (ამასთან, გასათვალისწინებელია ასევე სხვა მახასიათებლების გავლენაც, რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას და სასარგებლო ინფორმაციის მომზადების დანახარჯებთან დაკავშირებული შეზღუდვები, რაც მხედველობაში არ მიიღება ამ მაგალითში).

პირველი, დადგინდება ისეთი ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის. მეორე, განისაზღვრება, ამ ეკონომიკური მოვლენის შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი, თუ ის იარსებებდა და შესაძლებელი იქნებოდა მისი სამართლიანი წარდგენა. მესამე, დადგინდება, არსებობს თუ არა ეს ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი სამართლიანად წარდგენა. თუ ასეა, ამ ეტაპზე დასრულდება ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებთან ინფორმაციის

შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი გამეორდება სხვა ტიპის, უფრო შესაბამის ინფორმაციასთან მიმართებით



გრაფიკი 1.2. ხარისხობრივი მახასიათებლები

შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა ის ხარისხობრივი მახასიათებლებია, რომლებიც ამაღლებს შესაბამისი და სამართლიანად წარმოდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ხარისხობრივი მახასიათებლები იმის დადგენაშიც გვეხმარება, ორი მეთოდიდან რომელი უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის ასახვისთვის, თუ მიიჩნევა, რომ ორივე მეთოდი ერთნაირად შესაბამისია და უზრუნველყოფს სამართლიან წარდგენას.

მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მოიცავს ალტერნატიულ ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთებას, მაგალითად: ინვესტიცია უნდა გაყიდოს, თუ შეინარჩუნოს, ან ინვესტიცია რომელიმე ერთ ანგარიშვალდებულ საწარმოში განახორციელოს, თუ სხვაში. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ უფრო სასარგებლოა, თუ შესაძლებელია მისი შედარება სხვა საწარმოთა შესახებ არსებულ ანალოგიურ ინფორმაციასთან და იმავე საწარმოს სხვა პერიოდის, ან თარიღის ანალოგიურ ინფორმაციასთან. შესადარისობა ინფორმაციის ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც მომხმარებლებს განსახილველ ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენისა და გააზრების საშუალებას

აძლევს. სხვა ხარისხობრივი მახასიათებლებისაგან განსხვავებით, შესადარისობის ცნება დაკავშირებული არ არის რომელიმე ერთ ელემენტთან. შედარებისთვის საჭიროა სულ მცირე ორი მუხლი. მართალია, ცნება უცვლელობა დაკავშირებულია შესადარისობასთან, მაგრამ ისინი სხვადასხვა ცნებებია. უცვლელობა გულისხმობს ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას, ან ერთი ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ან ერთსა და იმავე პერიოდში, მაგრამ სხვადასხვა საწარმოს მიერ. შესადარისობა მიზანია, უცვლელობა ხელს უწყობს ამ მიზნის მიღწევას.

შესადარისობა არ არის ერთგვაროვნება. იმისათვის, რომ ინფორმაცია შესადარისი იყოს, მსგავსი საგნები ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეს, ხოლო განსხვავებული საგნები - განსხვავებულად. ფინანსური ინფორმაციის შესადარისობა არ ამაღლდება, თუ განსხვავებული საგნები წარმოდგენილი იქნება მსგავსად, ან პირიქით, თუ მსგავსი საგნები წარმოდგენილი იქნება, როგორც განსხვავებული. სავარაუდოდ, შესადარისობის გარკვეული დონის მიღწევა შესაძლებელია ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით. შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების სამართლიანი წარდგენა ბუნებრივად უნდა გულისხმობდეს შესადარისობის გარკვეულ ხარისხსაც, სხვა ანგარიშვალდებული საწარმოს ანალოგიური ეკონომიკური მოვლენების სამართლიან წარდგენასთან.

ინფორმაციის შემოწმების შესაძლებლობის თვისება მომხმარებელს ეხმარება დარწმუნდეს იმაში, რომ ინფორმაცია სამართლიანად ასახავს იმ ეკონომიკურ მოვლენას, რომლის ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. შემოწმებადობა იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ინფორმირებული და დამოუკიდებელი დამკვირვებელი შეძლებს ერთი და იმავე აზრის გამოტანას, თუმცა აუცილებელია არ არის, რომ სრულ თანხმობას მიაღწიონ იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული მოვლენა სამართლიანად არის წარდგენილი. იმისათვის, რომ ინფორმაციას გააჩნდეს შემოწმების შესაძლებლობის თვისება, სავალდებულო არ არის, რაოდენობრივი ინფორმაცია ასახავდეს ერთადერთ შესაძლო შეფასებით მნიშვნელობას. შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს შესაძლო მნიშვნელობების გარკვეული დიაპაზონი (მწკრივი) და მასთან დაკავშირებული ალბათობებიც. შემოწმებადობა შეიძლება იყოს პირდაპირი, ან არაპირდაპირი.

პირდაპირი შემოწმებადობა იმას ნიშნავს, რომ რიცხობრივი მონაცემის, ან სხვა ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით, მაგალითად თანხის დამტკიცება ფულადი სახსრების დათვლით. არაპირდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულებისა და მოდელის სხვა შემადგენელი ელემენტების შემოწმებას და მიღებული შედეგების იმავე მეთოდიკით ხელახლა დამოუკიდებლად დათვლას. ამის მაგალითია მარაგის საბალანსო ღირებულების შემოწმება ამოსავალი მონაცემების (რაოდენობებისა და ღირებულებების) შემოწმებით და მარაგის საბოლოო ნაშთის ხელახლა დათვლა ღირებულებების მოძრაობის შესახებ იმავე დაშვების გამოყენებით (მაგალითად, "პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში" (ფიფო) - მეთოდით).

ზოგიერთი განმარტებითი მასალისა და საპროგნოზო ინფორმაციის შემოწმება შეიძლება შესაძლებელი იყოს მხოლოდ მომავალ პერიოდში, ან საერთოდ შეუძლებელი იყოს. იმისთვის, რომ მომხმარებლებმა შეძლონ იმის გადაწყვეტა, სურთ თუ არა მათ ამგვარი ინფორმაციის გამოყენება, როგორც წესი, აუცილებელია გამოყენებული ძირითადი დაშვებების განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეგროვების მეთოდებისა და სხვა ფაქტორებისა თუ გარემოებების შესახებ, რომლებიც ასაბუთებს ამ ინფორმაციას.

დროულობა ინფორმაციის დროულობა იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ინფორმაცია ხელთ ჰქონდეთ იმ დროს, როდესაც მას შეუძლია გავლენის მოხდენა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საზოგადოდ, რაც უფრო ძველია ინფორმაცია, მით უფრო ნაკლებად სასარგებლოა. თუმცა, ზოგიერთი ინფორმაცია შეიძლება დროული დარჩეს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში იმის გამო, რომ ზოგიერთ მომხმარებელს შეიძლება აინტერესებდეს ტენდენციების დადგენა და შეფასება.

კლასიფიცირება, სისტემატიზაცია და ნათლად და ლაკონურად წარმოდგენა ინფორმაციას აღქმადს, გასაგებს ხდის.

ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენა, თავისი არსით, რთულია და შეუძლებელია მისი წარმოდგენა ადვილად გასაგები ფორმით. თუ ფინანსურ ანგარიშებში ამგვარი

ეკონომიკური მოვლენების შესახებ ინფორმაცია არ აისახება, ასეთი ფინანსური ანგარიშების ინფორმაცია შეიძლება უფრო ადვილად გასაგები გახდეს. თუმცა, ასეთი ანგარიშები არ იქნება სრულყოფილი და, მაშასადამე, პოტენციურად შეუძლია მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა.

ფინანსური ანგარიშები მზადდება ისეთი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფორმაციას გულდასმით შეისწავლიან და აანალიზებენ. ზოგჯერ მცოდნე და ყურადღებიან მომხმარებლებსაც სჭირდებათ კონსულტანტის დახმარება, რათა გაერკვნენ რთული ეკონომიკური მოვლენების ამსახველ ინფორმაციაში.

შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღწეული შესაბამისობა ინფორმაციის ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლებთან, რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას. თუმცა, ზემოაღნიშნული მახასიათებლები, ვერც ინდივიდუალურად და ვერც ერთობლივად ვერ გახდის ინფორმაციას სასარგებლოს, თუ ეს ინფორმაცია არ არის შესაბამისი, ან არ არის სამართლიანად წარმოდგენილი.

ისეთი ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენება/გათვალისწინება, რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, იტერაციული პროცესია, რომელიც არ ემორჩილება წინასწარდადგენილ მოქმედებებს. ზოგჯერ, შეიძლება აუცილებელი იყოს რომელიმე ხარისხობრივი მახასიათებლის შემცირება მეორე ხარისხობრივი მახასიათებლის მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, შესადარისობის ხარისხის დროებით შემცირება ფინანსური ანგარიშგების ახალი სტანდარტის პერსპექტიულად გამოყენების შედეგად, შეიძლება გამართლებული იყოს ინფორმაციის შესაბამისობის, ან სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად უფრო ხანგრძლივ პერიოდში. მონაცემთა შეუსადარისობის კომპენსაცია შეიძლება ნაწილობრივ უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშებში სათანადო განმარტებითი ინფორმაციის მიწოდებით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის

პრინციპებით. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები წარმოადგენეს ბუღალტრული აღრიცხვის წესების ნაკრებს და გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, ამავე დროს ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად შეესაბამება ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციას, ზოგი ნაკლებად. მიუხედავად ამისა მათი გამოყენება აუცილებელია პასუხის გასაცემად შემდეგ კითხვებზე :

- ✓ რომელი აქტივები და ვალდებულებები უნდა აისახოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- ✓ როგორ უნდა მოხდეს აქტივებია და ვალდებულებების შეფასება;
- ✓ როგორ უნდა აღიარდეს შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ✓ რა თანხით უნდა შეფასდეს ხარჯები და შემოსავალი;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნა გარკვევით უნდა იყოს იდენტიფიცირებული. გარდა ამისა, ანგარიშგებაში თვალსაჩინოდ უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი ინფორმაცია

ა) ანგარიშვალდებული საწარმოს დასახელება ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები და წინა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ ამ ინფორმაციაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;

ბ) ფინანსური ანგარიშგება ერთ საწარმოს ეხება თუ საწარმოთა ჯგუფს;

გ) საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი, ან ფინანსური ანგარიშგების პაკეტით და განმარტებითი შენიშვნებით მოცული პერიოდი;

დ) წარსადგენი ვალუტა, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 21-ში ,,უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შდეგები''; და

ე) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენისას აუცილებელია რიგი პრინციპების გათვალისწინება, რომლებიც უზრუნველყობს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს: ფუნქციონირებადი საწარმო;

- ორმხრივობის;
- ფულადი ასახვის;
- ავტონომიურობის;
- წინდახედულობის;
- შესაბამისობის;
- უწყვეტობისა; და
- თვითღირებულების პრინციპები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. თუ შეფასების დროს საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს საწარმოს შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს არსებითი განუსაზღვრელობები. თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, საწარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება. ასევე მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

ფულადი შეფასების პრინციპის თანახმად აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის ობიექტს მხოლოდ ის სამეურნეო ოპერაციები, რესურსები და ვალდებულებები წარმოადგენს, რომელთა ფულადი საზომით გამოსახვაა შესაძლებელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **ფულადი შეფასების პრინციპის** გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელ განუსაზღვრელობებთან. რის გამოც ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი მუხლის

ზუსტი გაზომვა შეუძლებელია და მხოლოდ შეფასება შეიძლება. შეფასების პროცესი გულისხმობს უახლესი ინფორმაციისა და წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დამყარებულ მსჯელობას საწარმოს ხელმძღვანელების მიერ, ასეთი მეთოდის გამოყენებისას ინფორმაცია აუცილებლად უნდა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა გააკეთონ დასკვნა გამოყენებულ კრიტერიუმებთან მიმართებაში.

ერთ-ერთ მნიშვნელობან კრიტერიუმს, რომლის საფუძველზეც საწარმო იღებს გადაწყვეტილებას განსაზღვრული შეფასებებ ის გაკეთების შესახებ, წარმოადგენს გამოყენებული სააღრიცხვო ინფორმაციის **არსებითობა**. არსებითობის, ანუ მატერიალურობის პრინციპი განიხილება ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ინფორმაციის ასახვასა და დეტალიზაციასთან მიმართებაში.ინფორმაცია ირთვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება არასრული ან არაზუსტი ასახვა გამოიწვევს აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის დამახინჯებას და შესაბამისად მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ამიტომ არცერთი არსებითი მოვლენა, ფაქტი აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვის გარეშე ასახვის გარეშე არ უნდა დარჩეს. რაც შეეხება თითონ მოვლენის არსებითობის განსაზღვრას, აქ ისევ გონივრულ განსჯას უნდა დავეყრდნოთ, რადგანაც არსებითისა და არაარსებითის მკვეთრად გამიჯვნა შეუძლებელია. არსებითობა დამოკიდებულია ფინანსური ანგარიშგების მუხლისა და იმ შეცდომის სიდიდეზე, რომელი შეიძლება გამოწვეული იყოს წინასწარი განზრახვით ან უნებლიედ. ამრიგად არსებითობა პირობითი ცნებაა და სამეურნეო ფაქტების არსებით და არაარსებით ფაქტებად დაყოფა საწარმოს კონკრეტული მაჩვენებლების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. ,,არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული აღრიცხვის ელემენტის ან უზუსტობის სიდიდესა და ბუნებაზე, გარემო პირობების ან კონტექსტის გათვალისწინებით. არსებითობის განსაზღვრული ფაქტორი შესაძლოა იყოს ელემენტის სიდიდე ან ბუნება,ან ორივე ერთად.

უწყვეტობის პრინციპის თანახმად, საწარმო უახლოეს საპროგნოზო მომავალში თავის აქტიურ საქმიანობას გააგრძელებს. ეს პრინციპი გარკვეულად უკავსირდება ბასს-ის განმარტებას (ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ) სადაც აღნისნულია,რომ

ფინანსური ანგარისგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ, იგულისხმება რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც, ესე იგი , იგულისხმება რომ საწარმო არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას ან თავის საქმიანობის მაშტაბების საგრძნობლად შემცირებას.

საწარმოს საქმიანობის **უწყვეტობის პრინციპი** შეიძლება ეჭვგარეშე დადგეს შემდეგი გარემოების არსებონისას :

- საწარმოს მესაკუთრეთა ან ხელმძღვანელობის განზრახვა შეწყვიტონ ან საგრძნობლად შეამცირონ თავიაანთი საქმიანობის მაშტაბები;
- საწარმოს ფუნქციონირების იურიდიული შეზღუდვა, მაგალითად ლიცენზიის ჩამორთმევა ან საქმიანობის ვადის ამოწურვა.
- საწარმოს უუნარობა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი, მისი გაკოტრება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში,როცა საწარმო ფუნქციონირებს უწყვეტად, სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს უწყვეტად, მისი რეგისტრაციის დღიდან რეორგანიზაციამდეან ლიკვიდაციამდე.

პირვანდელი ღირებულების ანუ **თვითღირებულების პრინციპის** თანახმად, აქტივები აღირიცხება მათი შეძენისას, გადახდილი ფულისა და მისი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. რაც შეეხება ვალდებულებებს ისინი აღირიცხება იმ აქტივის თანხის ოდენობით, რაც ამ ვალდებულებების სანაცვლოდაა მიღებული.

საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის თანახმად, საწარმოს ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია ასახავს მხოლოდ საწარმოს მიერ გაწეულ საქმიანობას და არა მისი მესაკუთრისას, ანუ ფინანსური აღრიხვა განიხილება ,როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულის საწარმოს ფინანსური აღიცხვა. საწარმო დამოუკიდებელია მისი მესაკუთრეებისაგან, მისი იურიდიული სტატუსის მიუხედავად, ამრიგად საწარმოს და მისი მესაკუთრის ანგარიშები გამიჯნულია ერთმანეთსაგან და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მხოლოდ საწარმოში მომხდარ სამეურნეო ოპერაციების შედეგს წარმოადგენს.

სიფრთხილის ანუ **წინდახედულობის** პრინციპი გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებისადმი ფრთხილ, წინდახედულ დამოკიდებულებას. ამ პრინციპის თანახმად გარკვეული სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი გარკვეულ პირობებში შეფასებების გაკეთებისას. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვისა და ანგარიშგებების შედგენისას არ უნდა მოხდეს აქტივებისა და მოგების ოპტიმისტური შეფასება, დანახარჯებისა და ვალდებულებების უსაფუძვლო შემცირება. ამავე დროს ქონების ზრდის აღიარება მხოოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა იგი სრულიად განსაზღვრული მოგებაა, ხოლო ქონების შემცირების აღიარება - როცა იგი შესაძლებელი მოვლენაა. ასე რომ საწარმოში მოსალოდნელი ზარალი ან დანაკარგები, მათი გამოვლენის თანავე უნდა აისახოს ბუღალტრულ აღრიცხვაში, მხოლოდ მოსალოდნელი მოგება და შემოსავალი - მათი რეალურად მიღების შემდეგ.

სიფრთხილის ანუ წინდახედულობის პრინციპი მხედველობაში მიიღება პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების და პერიოდის დასასრულისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) შედგენისას. თუ მოსალოდნელია ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ საქონლის გაყიდვა თვითღირებულებაზე დაბალი ფასით, მისი დაზიანებისა და მოდელის მოძველების გამო, საწარმოს მიერ აუცილებელია მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინება. შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნაშთიდან დარჩენილი მარაგის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსში უნდა აისახოს თითღრებულებისა და შესაძლო სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი ღირებულებით.

შესაბამისობის პრინციპი გულისხმობს შემოსავლების და ხარჯების ურთიერთ დაკავშირებას.ამ პრინციპის თანახმად ხარჯების ასახვა უნდა მოხდეს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიქმნა შემოსავლები ამ ხარჯების გაწევის შედეგად. მოცემულ პერიოდში ხდება იმ ხარჯების აღიარება, რომლებიც ამ პერიოდის შემოსავლების მისაღებად იქნა გაწეული.

1.2.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

როგორც უკვე აღვნიშნეთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შედგება აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაწილისაგან. ფუნქციონირებადი საწარმოს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა იწვევს ცვლილებას აქტივებში, ვალდდებულებასა და საკუთარ კაპიტალში, აქედან გამომდინარე მუდმივად იზრდება მათი სიდიდე, თუმცა საბალანსო ტოლობა არასოდეს ირღვევა.

ბასს 1 ,,ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება''-ის შესაბამისად **აქტივი** არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის უნარი, ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. ეს შეიძლება იყოს საწარმოო ხასიათის უნარი, რადგან ის არის საოპერაციო საქმიანობის ნაწილი. სხვა შემთხვევაში, შეიძლება იყოს ფულად სახსრებად და მათ ეკვივალენტებად გარდაქმნის უნარი, ან იმის უნარი, შეამციროს საწარმოდან ფულადი სახსრების გასვლა. საწარმო, როგორც წესი, მოიხმარს აქტივებს იმ საქონლის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რომლებიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. თუ საქონელი ან მომსახურება აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნილებებს, ისინი მზად იქნებიან, გადაიხადონ ამ საქონლისა და მომსახურების საფასური და ამით ხელი შეუწყონ საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლას. ფულადი სახსრები კი როგორც უნივერსალური საწარმოო რესურსი, თვითონ საწარმოს ემსახურება.

ვალდებულებები საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა

გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი.

ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება. ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესასრულებელი ხელშეკრულების ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით.

აუცილებელია გაიმიჯნოს მიმდინარე ვალდებულება და მომავალი ვალდებულება. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომავალში აქტივების შეძენის შესახებ, თავისთავად არ წარმოშობს ვალდებულებას. როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია ან, თუ საწარმო დადებს შეუქცევად ხელშეკრულებას აქტივების შეძენის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, შეთანხმების შეუქცევადობა ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების უუნარობის ეკონომიკურმა შედეგებმა, მაგალითად დიდი ოდენობის ჯარიმების არსებობამ, შეიძლება საწარმოს არ მისცეს რესურსების სხვა მიმართულებით გამოყენების უფლება.

საკუთარი კაპიტალი აქტივების ის ნაწილია, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. იგი შეძლება ქვეჯგუფებად დაიყოს. მაგალითად, სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შენარჩუნებას, შეიძლება აისახოს ცალცალკე. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად, როდესაც კლასიფიკაცია ასახავს საწარმოს მიერ საკუთარი კაპიტალის განაწილების ან სხვაგვარი გამოყენების სამართლებრივ, ან სხვა სახის შეზღუდვებს. ამგვარი სტრუქტურა შეიძლება ასევე ასახავდეს მესაკუთრეთა გგანსხვავებულ უფლებებს, დივიდენდების მიღებისა და კაპიტალის ამოღებასთან მიმართებაში.

ბასს1 ,,ფინანსური ანგარიშგების წარდგენის'' თანახმად საწარმოებმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესატანი აქტივებისა და ვალდებულებების

კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ბრუნვაში მათი მონაწილეობის მიხედვით: მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თითოეული ელემენტი მუხლს წარმოადგენს, მათი განლაგება ფინანსური მდგომარეობის შედგენისას ასევე ლიკვიდურობის პრინციპს ემყარება, საშუალებათა ლიკვიდურობა მათ ადვილად რეალიზებადობას, ანუ ფულად საშუალებად ქცევის უნარს გულისხმოს. ბალანსში საშუალებები შეიძლება მოთავსდეს ლიკვიდურობის ზრდის ან კლების მიხედვით. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით ორივე მიდგომა დაშვებულია.

საწარმოების მიერ მუხლების კლასიფიკაციის მეთოდი უნდა შეირჩეს წარდგენილი ინფორმაციის საიმედოობის და შსაბამისობის მოთხოვნებით. მიუხედავად იმისა თუ როგორ წარადგენს საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი :

აქტივები - ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება, არამატერიალური აქტივები, ფინანსური აქტივები,ბიოლოგიური აქტივები, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ვალდებულებები - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ანარიცხები, ფინანსური ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები.

საკუთარი კაპიტალი - გამოშვებული სააქციო კაპიტალი და რეზერვები.

გარდა ჩამოთვლილი მუხლებისა,საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები, სახელწოდებები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, რადგან ასეთი წარდგენა აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დასახასიათებლად.

ამდენად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი არ არის მკაცრად განსაზღვრული და მოთხოვნილი. საწარმო თავად ახდენს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციას მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად.

ამავე დროს, საწარმო ვალდებულია, აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული მუხლი ასახოს იმ თანხებით, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია :

- სანგარისგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტ თვეში; და
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

აღიარება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს. აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას.

მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტის განმარტებას, უნდა აღიარდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ:

ა) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

ბ) მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

აქტივი აღიარდება ბალანსში, თუ შესაძლებელია ამ აქტივის მონაწილეობით მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და, ამავე დროს, მისი თანხობრივი შეფასება საიმედოდ. აქტივი არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მოსალოდნელია, რომ გაწეული დანახარჯების შედეგად საწარმო ვერ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

ბასს 1-ით საწარმომ აქტივი მიმდინარე, ანუ მოკლევადიან აქტივად უნდა აღიაროს თუ:

1. ნავარაუდევია აქტივის რეალიზაცია, ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
2. ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
3. ნავარაუდევია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
4. აქტივი არის ფულადი სახსრები ან მისი ექვივალენტი.

საბალანსო მუხლების მოკლევადიან აქტივებად კლასიფიკაციის ასეთ მოთხოვნებს საფუძვლად უდევს ორი ნიშანი: ლიკვიდურობა და საწარმოო ციკლში მონაწილეობა, ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივს. ბასს-ით გრძელვადიანი აქტივები მოიცავს მატერიალურ, არამატერიალურ და ფინანსურ აქტივებს , რომლებიც გამოიყენება გრძელვადიანი დანიშნულებით.



სქემა2.1 მოკლევადიანი აქტივების აღიარების კრიტერიუმები

საწარმოო ციკლი მოიცავს დროის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება წარმოებისათვის საჭირო აქტივების შეძენით და მთავრდება მზა პროდუქციის გაცვლით ნაღდ ფულზე ან ფულის ექვივალენტზე. როდესაც საწარმოს ჩვეულებრივი საწარმოო ციკლი ზუსტ განსაზღვრას არ ექვემდებარება ბასს 1-ით იგულისხმება რომ იგი შეადგენს 12 თვეს.

,,კონცეპტუალური საფუძვლები''-ის მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას მომავალში და შესაძლებელია მისი ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ბასს 1-ის თანამხმად, საწარმომ ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა აღიაროს თუ:

- ✓ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ✓ ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;

- ✓ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან
- ✓ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის სულ მცირე 12 თვის განმავლობაში;

ყველა სხვა ვალდებულება გრძელვადიან ვალდებულებად ითვლება.

სქემა 2.2 მოკლევადიანი ვალდებულების აღიარების კრიტერიუმები

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულებები, მაგალითად სავაჭრო ვალდებულებები, სხვდასხვა ტიპის დარიცხვა თანამშრომლებისათვის და სხვა საწარმოო დანახარჯები, არის საბრუნავი კაპიტალის ნაწილი და გამოიყენება საწარმოო საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლეადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. როდესაც საწარმოს საოპერაციო ციკლი ზუსტად არ არის განსაზღვრული, ბასს 1-ით იგულისხმება , რომ იგი შეადგენს 12 თვეს.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება არ წარმოადგენს მიმდინარე საწარმოო ციკლის ნაწილს, მაგრამ გადასახდელი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ძირითადად სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენება. ფინანსური

ვალდებულებები, რომლებიც გრძელვადიან დაფინანსებს უზრუნველყოფს და დასაფარი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებებად.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია მკაცრად რეგლამეტირებულია, მისი კლასიფიკაცია დგინდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღის მდგომარეობით. საწარმომ ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს როგორც მოკლევადიანი, თუ ისინი გადახდას ექვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაშიც კი როცა :

ა) მათი გადახდის პირვანდელი ვადა 12 თვეზე მეტი იყო;

ბ) საწარმოს მიღწეული აქვს შეთანხმება ვალდებულებების რეფინანსირების შესახებ გრძელვადიანი პირობებით და აღნიშნული შეთანხმება მთავრდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე.

მას შემდეგ რაც მოხდება საწარმოს მიერ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება უნდა შეფასდეს ისინი. **შეფასება** არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტები აღიარდება და აისახება საწარმოს ფინანსური მდგომარების ანგარიშგებაში, ეს პროცესი მოიცავს შეფასების მეთოდის შერჩევას.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდებს:

ა) პირვანდელი ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;

ბ) მიმდინარე ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომელიც გადასახდელი იქნებოდა საწარმოს მიერ იმავე ან ანალოგიური აქტივის შესაძენად მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები აისახება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც საჭიროა მის დასაფარად მიმდინარე პერიოდში;

გ) რეალიზებადი ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა ამ აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები აღირიცხება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მის დასაფარად, საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;

დ) დღევანდელი ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მოცემული აქტივიდან საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. საწარმოს ვალდებულებები აისახება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების გასავლების დღევანდელი ღირებულებით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია, რომ აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად, საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

აქტივების შეძენის შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ ბუნებაზე, ფლობის დანიშნულებასა და გამოყენების მიზნებზე. განვიხილოთ სხვადასხვა აქტივების შეფასება:

❖ **ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებების ღირებულება უნდა აღიარდეს აქტივად თუ :

- მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, უნდა შფასდეს მისი თვითღირებულებით. აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტები, ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა. ძირითადი საშუალებვის თვითღირებულება მოიცავს:

1) მისი შესყიდვის ფასს,საიმპორტო საბაჟო გადასახადების და შესყიდვის დაბრუნებადი გადახდების ჩათვლით, ყოველგვარი საჭირო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე.

2) ნებიმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

3) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისთვის, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისას.

საწყის ეტაპზე **საინვესტიციო ქონება** უნდა შეფასდეს თვითღირებულებით. გარიგების ხარჯები ჩაირთვება საწყის შეფასებაში. შეძენილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. უშუალოდ მიკუთვნებადი დანახარჯები მოიცავს, მაგალითად, პროფესიული იურიდიული მომსახურების ჰონორარს, გადასახადს ქონების გადაცემაზე და გარიგების სხვა ხარჯებს.

როდესაც აქტივები მიიღება ჩუქებით ან გაცვლით, ის უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებებით. როგორც უკვე აღინიშნა, რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომლებიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობითი განხორციელებული ოპერაციის დროს.

არამატერიალური აქტივის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმომ უნდა შეაფასოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ალბათობა გონივრული და დასაბუთებადი დაშვებებით, რომლებშიც გათვალისწინებულია იმ ეკონომიკური ვითარების ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საუკეთესო შეფასება, რომელიც იარსებებს აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო **ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას** აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

ბასს 41-ის ,,სოფლის მეურნეობა''- მიხედვით, მარაგი, რომლებიც შედგება **ბიოლოგიური აქტივებიდან** მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისაგან, თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული

დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბასს 7 ,, ფულადი ნაკადების ანგარიშგების'' თანახმად ფულად სახსრებში იგულისხმევა ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე, ფულადი სახსრების ეკვივალენტები კი არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც უპრობლემოდ გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე. როგორც წესი ინვესტიცია ნაღდი ფულადი სახსრების ეკვივალენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება, თუ დაფარვის მოკლე ვადა აქვს, მაქსიმუმ 3 თვე.

საწარმო გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს შეაფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

გრძელვადიანი აქტივების გამოყენების დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მათი საასარგებლო მომსახურების ვადა ან დარჩენილი ღირებულება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება პერიოდით, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება და საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

აქტივები როგორც გრძელვადიანი ,ასევე მოკლევადიანი შეძენისა და წარმოების დროს ფასდება თვითღირებულებებით. აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების, ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულებების თანხა. რეალური ღირებულება არის ის ფასის, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულებების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის ფასების თარიღისათვის ნებაყოფლობითი განხორციელებული ოპერაციის დროს.

აქტივის ნაჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. სხვადასხვაგვარად ეს არის აქტივის

შესაძლო წმინდა სარეალიზაციო ღირებულება. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყისვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების პერიოდში ხდება მათი თვითღირებულების ხარჯად აღიარება ცვეთის დარიცხვით. ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებადი ნაწილის სისტემატიური განაწილება, მისი მომსახურების ვადის გაანმავლობაში. ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

გრძელვადიანი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება საბალანსო ღირებულებით. საბალანსო ღირებულება ის თანხაა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან

ბ) პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 36-ს ,,აქტივების გაუფასურება''. ეს სტანდარტი განსაზღვრავს, თუ როგორ გადასინჯავს საწარმო თავისი აქტივების საბალანსო ღირებულებას, როგორ განსაზღვრავს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და როდის აღიარებს ან აუქმებს გაუფასურების ზარალს.

ბასს 36 ,,აქტივების გაუფასურება'' მოითხოვს, რომ თუ შეიმჩნევა აქტივების გაუფასურების ნიშნები მას აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ტესტირება გაუფასურებაზე, საქმე ის არის, რომ კვლავ უმთავრესია წარდგენილი ინფორმაციის სამართლიანობა აქტივის საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება უდიდესი სიდიდეა გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება გვიჩვენებს თუ რა უფრო მომგებიანია საწარმოსთვის - აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა.

თანხა, რომელიც აღიარდა ანარიცხად, უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მიმდინარე **ვალდებულების** შესასრულებელი დანახარჯების საუკეთესო შეფასებას წარმოადგენს თანხის ის ოდენობა, რომელსაც საწარმო გადაიხდიდა ვალდებულების შესასრულებლად ან სხვა მხარისათვის გადასაცემად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ხშირად შეუძლებელია ან შემზღუდველად ძვირია ვალდებულების შესრულება ან გადაცემა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, იმ თანხის შეფასება, რომელსაც საწარმო რაციონალურად გადაიხდიდა ვალდებულების დასაფარად ან გადასაცემად, წარმოადგენს იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მიმდინარე და გასული პერიოდის საგადასახადო ვალდებულებები უნდა შეფასდეს იმ თანხით, რომელიც ექვემდებარება გადახდას შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო კანონის გამოყენების საფუძველზე, რომლებიც უკვე შესულია ძალაში ან ამოქმედდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უნდა შეფასდეს იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდება აქტივის გაყიდვა, ან ვალდებულების დაფარვა, იმ საგადასახადო განაკვეთებისა (და საგადასახადო კანონმდებლობის)

საფუძველზე, რომლებიც უკვე შესულია ძალაში ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კონცეპტუალური საუძვლების თანახმად კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი , რომელიც საწარმოში რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ, ამიტომ მას ,,წმინდა აქტივსაც'' უწოდებენ.

კაპიტალის შეფასება რეალური რომ იყოს, ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს აუცილებელია აქტივების ღირებულების დაზუსტება. აქტივების ღირებულების კორექტირება წარმოქმნის გადაფასების რეზერვებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსში ვალდებულებების
არსებობა განპირობებულია გასული საანგარიშგებო პერიოდის იმ ოპერაციებითა და მოვლენებით, რომელთა გადახდა იმავე პერიოდში არ მომხდარა და განვადებულია სათანადო შეთანხმებით. ასეთი ოპერაციები და მოვლენები შეიძლება იყოს: საქონლის შეძენა ან მომსახურების მიღება, სესხის აღება, საგადასახადო თუ სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებით წარმოქმნილი ვალდებულებები.
ვალდებულებები შეფასდება იმ თანხით, ან ფასეულობების ღირებულებით, რომელიც საჭიროა მათ დასაფარავად. ვალდებულებების ძირითადი მახასიათებლებია:
 ვალდებულების არსებობა, რომლის შესრულება მომავალში სხვა საწარმოებზე აქტივების გადაცემით ან მომსახურების გაწევით შეიძლება;
 სამეურნეო მოვლენა, რომელმაც გამოიწვია მოცემული ვალდებულება, უკვე მოხდა;
 ვალდებულების წარმოქმნა უნდა იყოს სინამდვილე (სიტუაცია, როცა ვალდებულება შეიძლება როგორც წარმოქმნას, ისე არ წარმოქმნას).
ვალდებულებები წარმოიქმნება სავაჭრო, სასესხო და საანგარიშსწორებო ოპერაციების შედეგად, რომელიც მომავალში უნდა იქნეს გადახდილი.

თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პრინციპები საწარმოს მაგალითზე

2.1.სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი''-ს სააღრიცხვო პოლიტიკა

ამ თავში განვიხილავთ თუ როგორია სს „ სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი''-ს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა , როგორ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარშგების შემადგენელი მუხლების აღიარება და შეფასება და შევადარებთ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, გავიგებთ რამდენადაა თანხვედრაში კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან.

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგ''-ში შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილება:

ა) მოითხოვება სტანდარტის მიერ; ან

ბ) უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

რეალური ღირებულების განსაზღვრა

„კომპანიის“ რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის რეალური ღირებულების განსაზღვრას. რეალური ღირებულება განისაზღვრა განმარტებითი შენიშვნების მიზნით.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრისას „კომპანია“ შესაძლებლობის ფარგლებში იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

რეალური ღირებულებები იყოფა რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- *პირველი დონე*:კოტირებული (დაუკორექტირებელი)ფასები აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *მეორე დონე*: მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ჩართულია პირველ დონეში და დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (ე.ი. ფასები), ისე - ირიბად (ე.ი.წარმოქმნილია ფასებიდან).
- *მესამე დონე*: მონაცემები აქტივების ან ვალდებულებების შესახებ, რომლებიც არ ეფუძნება ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული მონაცემები უნდა დაიყოს რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებად, რეალური ღირებულების განსაზღვრა მთლიანად იყოფა რეალური ღირებულების იერარქიის იგივე დონედ, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია რეალური ღირებულების შეფასებისას გაკეთებულ დაშვებებზე მოცემულია.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

„კომპანიის“კონტროლის ქვეშ მყოფიორგანიზაციები არიან შვილობილი კომპანიები. კონტროლში იგულისხმება „კომპანიის“მიერ ამა თუ იმ ორგანიზაციაში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ „კომპანიამ“ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხულია თვითღირებულებით იმ თარიღიდან როდესაც გავრცელდა კონტროლი, მის დასრულებამდე.

მეკავშირე საწარმოები არიან ორგანიზაციები,რომლის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე ვრცელდება

„კომპანიის“ მნიშვნელოვანი გავლენა (და არა კონტროლი). მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშვება მაშინ როდესაც „კომპანია“ მეორე ორგანიზაციაში ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება, როგორც თვითღირებულებას მინუს გაუფასურების ზარალი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „კომპანიის“სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის განმავლობაში მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით და გადახდებით დაკორექტირებული პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებული უცხოური ვალუტის ამორტიზირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადიერთეულები,რომლებიც ფასდებიან ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

კურსთაშორისი სხვაობები აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი.

სადაზღვევო კონტრაქტები

კონტრაქტების კლასიფიცირება

კონტრაქტები,რომელთა საფუძველზეც „კომპანია“ იღებს სადაზღვევო რისკს სხვა მხარისგან („დაზღვეული“), იმის შესახებ, რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებლეზე კლასიფიცირდებიან, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

სადაზღვევო რისკი განსხვავდება ფინანსური რისკისგან.

ფინანსური რისკი ეხებაერთი ან მეტი კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის და სასაქონლო ღირებულების, სავალუტო კურსების, ფასების და განაკვეთების ინდექსების, საკრედიტო რეიტინგის და ინდექსების ან სხვა ცვლადებისმომავალში შესაძლო ცვლილებებს, სადაც არაფინანსური ცვლადი არ არის განსაზღვრული კონტრაქტის მხარისათვის. სადაზღვევო კონტრაქტი შეიძლება ატარებდეს გარკვეულ ფინანსურ რისკს.

სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევამ

„კომპანიისთვის“ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება.კონტრაქტი სადაზღვევოდ კლასიფიცირდება სანამ ყველა უფლება და მოვალეობა არ იქნება ამოწურული ან ვადაგასული. ისეთი კონტრაქტები, რომლის საფუძველზეც ხდება უმნიშვნელო სადაზღვევო რისკების კომპანიისთვის გადაცემა, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გარანტიების კონტრაქტები მიღებულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

სადაზღვევო პრემიები

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში შეყვანილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად უკავშირდება ის ხსენებულ საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. მოზიდული პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლის სახით. პრემიები გამომუშავდება პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად(პროპორციული მეთოდით). გადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურად (პროპორციული მეთოდით). გადაზღვევის პრემიის ის ნაწილი რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად,მიჩნეულია გადაზღვევის აქტივად.

პოლისების გაუქმება

პოლისები უქმდება მაშინ როცა არის ობიექტური დაშვება იმისა რომ დაზღვეული/დამზღვევი აღარ ან ვეღარ იხდის სადაზღვევო პრემიას. შესაბამისად გაუქმება ძირითადად მოქმედებს ისეთ პოლისებზე სადაც პირობების მიხედვით პრემია გადაიხდება განვადებით.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი მოიცავსბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო ან შემდეგი წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ- ცალკე ყოველი სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად პროპორციული მეთოდით.

სადაზღვევო ზარალები

წმინდა დამდგარი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს, სუბროგაციული ხარჯების გამოკლებით და ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის მოძრაობის გათვალისწინებით.ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების „კომპანიის“ მიერ დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების რეზერვების გამოთვლებს საანგარიშგებო პერიოდის უკანასკნელი დღისთვის, როგორც გაცხადებულის ასევე განუცხადებელი.

ასანაზღაურებელი ზარალები ფასდება ზარალის ინდივიდუალური განხილვის და მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორიც არის სამართლებრივი ცვლილებები და წარსული გამოცდილებები და ტენდენციები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება.

დაგეგმილი გადაზღვევის მისაღები თანხები აღიარებულია როგორც აქტივი. გადაზღვევის ანაზღაურების თანხა დგინდება იგივენაირად როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეზერვებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ინდივიდუალურფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როცა გაკეთდა

კორექტირება, ხოლო მატერიალურობის შემთხვევაში ცალკე განიმარტებიან. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა რეგულარულად ხდება.

გადაზღვევა

„კომპანია“ ახორციელებს გადაზღვევას ჩვეულებრივი საქმიანობის განხორციელების პირობებში, შენარჩუნებული რისკის ლიმიტები კი განსხვავდება სადაზღვევო პროდუქტების მიმართულებების მიხედვით. გადამზღვევლი წილი მენეჯმენტის შეფასებების მიხედვით.
გადამზღვევლის ვალდებულება „კომპანიის“ მიმართ ამუკანასკნელს არა თავისუფლებს ვალდებულებებისგან და ზღვეულთა წინაშე.
გადამზღვევლის წილი პრემიები და ანაზღაურებები წარმოდგენილია მოგება-ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში (ბრუტო საფუძველზე).

გადავადებული აკვიზიციური ხარჯი
ფინანსური პერიოდის განმავლობაში გაწეული ის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები მომავალში ანაზღაურდება მიღებული სადაზღვევო პრემიებიდან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯები აღიარდება ხარჯებად იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

თანამშრომლებისთვის გადახდილი გაყივების საკომისიოს, აგენტების და სხვა კონტრაგენტებისთვის სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმების და განახლებისთვის გადახდილი ანაზღაურების და საკომისიოს გარდა პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები და ა.შ.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზოგადი დაზღვევისა და ჯანმრთელობის პროდუქტების გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ამორტიზირდება იმ

პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხდება დაკავშირებული შემოსავლების გამომუშავება.

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება, გამოუმუშავებელი პრემიების ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირების საპროგნოზო მაჩვენებლები.იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი, შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი ჩამოიწერება, და, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკების რეზერვი). ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო კონტაქტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მოთხოვნები და მათი გაუფასურების განხილვა ხდება მოთხოვნების გაუფასურების ტესტირების მიხედვით.

როგორც წესი, სადაზღვევო მოთხოვნების აღიარება ხდება პოლისის გაცემისას და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურების განხილვა ხდება როგორც ინდივიდუალური ბალანსების დონეზე, ასევე ჯამურად იმ ნაშთებზე, რომლებიც არ მოხვდნენ ინდივიდუალურ განხილვაში. როდესაც მოვლენები ან ვითარებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსში მოიცავენ ხელზე არსებულ ფულად ნაშთებსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს, შეძენის დღიდან სამი თვით ან

ნაკლებ ვადიანობით, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და შეფასება

„კომპანია“ თავდაპირველად აღიარებს სესხებს და ვალდებულებებს, საბანკო დეპოზიტებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს მათი წარმოშობის დღეს.

სესხები და მოთხოვნები რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები მიეკუთვნება იმ ფინანსურიაქტივების კატეგორიას, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ
ბაზარზე. ასეთი აქტივების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების დამატებით.პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და მოთხოვნები გამოითვლება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
სესხების და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს:

- სადაზღვევო მოთხოვნებს,და
- მოთხოვნები სუბროგაციიდან;

„კომპანია“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გამოკლებით. პირველადი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები ითვლება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სადაზღვევო და გადაზღვევის გადასახდელებს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მაშინ როდესაც ამოიწურება აღნიშნული აქტივებიდან ფულადი სახსრების შემოდინების მიღების უფლება ან „კომპანია“ გადასცემს ფულადი სახსრების შემოდინების უფლებას სხვა მხარეს ისეთ ტრანზაქციაში, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის კუთვნილებასთან დაკავშირებული სარგებელი სრულად არის გასხვისებული.გასხვისებულ ფინანსურ აქტივიდან წარმოშობილი ან„კომპანიის“ მიერ დატოვებული ნებისმიერი მონაწილეობა გასხვისებულ ფინანსურ აქტივში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც წყდება, უქმდება ან ვადა გასდის მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიეთითება წმინდა ღირებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნია იურიდიული უფლება ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და ასევე გააჩნია განზრახვა ანგარიშსწორება მოახდინოს ნეტო საფუძველზე ან გასცეს აქტივები და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

„კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნიაიურიდიული უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და ხორციელდება, როგორც საქმიანობის ფუნქციონირების ნორმალურ პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუუნარობის და გაკოტრების შემთხვევაში.

ძირითადია საშუალებები, რომლებიც არ კვალიფიცირდება საინვესტიციო ქონებად, წარდგენილია თვითღირებულებით, რომელშიც არ არის ჩართული ყოველდღიური

შეკეთებისა და მოვლის ხარჯები და რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების თანხებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშალებების თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ აქტივების შეძენისთვის არის განკუთვნილი და აუცილებელია მათი მიზანმიმართულად გამოყენებისათვის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოანგარიშდება შემდეგი სასარგებლო მომსახურებისვადების გათვალისწინებით:

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. ყველა გაწეული ხარჯი რომელიც ძირითადი საშუალების რომელიმე კომპონენტის შეცვლას უკავშირდება, აღიარდება საბალანსო ღირებულებით, თუ მოსალოდნელია მისი მეშვეობით კომპანიისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღება და ასევე შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის ჩამოწერა ხდება მისი ნარჩენი ღირებულებით. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, როგორიც არის შეკეთების და შენახვის ხარჯები, აღიარდებაიმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ამგვარი ხარჯის გაღებას ჰქონდა

ადგილი აქტივების ნარჩენი ღირებულებია, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება , ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება -განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებეობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღრიცხვის შეწყვეტა ხდება მათი გასხვისების ან ჩამოწერის დროს, ან მაშინ როცა მისი გასხვისვისებიდან და ექსპლუატაციიდან აღარა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს : ნასყიდობის ფასს, ინსტალაციისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანითვის გაწეულ

ხარჯებს . არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით , სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად . თუ არამატერიალურ აქტივის სასრგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია , ამ შემთხვევაში ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს .

საინვესტიციო ქონება

სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის '' შიდა პოლიტიკის თანახმად , საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირდება ის ქონება რომელიც გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს ან მომართულია კაპიტალის გაზრდისკენ, ან ორივე ერთად. საინვესტიციო ქონება მოიცავს მოცემული მომენტისთვის განუსაზღვრელი მომავალი გამოყენების მიზნის მქონე ქონებას. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებსაც, თუკი ეს დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მაგრამ არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების და მიმდინარე შეკეთების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით რაიმე გაუფასურების ღირებულების გამოკლებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შენობის სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის შეადგენს 50 წელს.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის ჩამოწერასან გაყიდვას ჰქონდა ადგილი.

აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც

დასტურდება საკუთარი მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის აქტივის გამოყენების დასრულებით და მისი იჯარით გადაცემით სხვა მხარისათვის. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება მესაკუთრის საქმიანობის ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

მენეჯმენტის შეფასებით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან. რეალური ღირებულება მიეკუთვნება რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, რადგან გამოყენებული შეფასების ტექნიკა მოიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რაც ეფუძნება ბაზარზე ბოლო გარიგებებს ან გამოცხადებულ წინადადების ფასებს მსგავს ქონებაზე.

კომპანიის შიდა პოლიტიკა საინვესტიციო ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებთ ხდება ბასს 40 საინვესტიციო ქონების მიხედვით .

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა შიდა პოლიტიკის თანახმად - სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგში არ აისახება და შესყიდვისთანავე აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები : კარტრიჯი , დისკები, მაუსები და სხვა, მარაგებში არ აისახება და შესყიდვის თანავე მიეკუთვნება კომპიუტერების ხარჯებს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და შეფასება

„კომპანია“ თავდაპირველად აღიარებს სესხებს და ვალდებულებებს, საბანკო დეპოზიტებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს მათი წარმოშობის დღეს.

სესხები და მოთხოვნები რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები მიეკუთვნება იმ ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების დამატებით. პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და მოთხოვნები გამოითვლება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

„კომპანია“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გამოკლებით. პირველადი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები ითვლება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სადაზღვევო და გადაზღვევის გადასახდელებს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მაშინ როდესაც ამოიწურება აღნიშნული აქტივებიდან ფულადი სახსრების შემოდინების მიღების უფლება ან „კომპანია“ გადასცემს ფულადი სახსრების შემოდინების უფლებას სხვა მხარეს ისეთ ტრანზაქციაში, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის კუთვნილებასთან დაკავშირებული სარგებელი სრულად არის გასხვისებული.გასხვისებულ ფინანსურ აქტივიდან წარმოშობილი ან„კომპანიის“ მიერ დატოვებული ნებისმიერი მონაწილეობა გასხვისებულ ფინანსურ აქტივში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც წყდება, უქმდება ან ვადა გასდის მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიეთითება წმინდა ღირებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნია იურიდიული უფლება ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და ასევე გააჩნია განზრახვა ანგარიშსწორება მოახდინოს ნეტო საფუძველზე ან გასცეს აქტივები და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

„კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნიაიურიდიული უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და ხორციელდება, როგორც საქმიანობის ფუნქციონირების ნორმალურ პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუუნარობის და გაკოტრების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების გაუფასურებული ღირებულებით ასახვა ძირითადად მოიცავს სესხებს და მოთხოვნებს („სესხები და მოთხოვნები“). „კომპანია“ სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურებას რეგულარულად აფასებს. სესხები და მოთხოვნები გაუფასურდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ მაშინ,როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი აქვს გაუფასურებას ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომლებიც წარმოიშვა სესხების და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომ მოვლენას (ან მოვლენებს) გავლენა აქვთ სესხებისა და მოთხოვნების მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლებიც შესაძლოა ობიექტურად იქნას

შეფასებული.

„კომპანია“ სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს აფასებს ინდივიდუალურად და ერთობლივად. თავდაპირველად „კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი აქვს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურებას, ხოლო ისეთი სესხებსა და ვალდებულებების, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, გაუფასურების შეფასება ხდება ინდივიდუალურად ან ერთობლივად.

თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისა და ვალდებულებებისთვის, მნიშვნელოვანი თუ სხვა, ის მოიცავს სესხებს და ვალდებულებებს სესხებისა და ვალდებულებების ჯგუფში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებაზე. სესხები და ვალდებულებები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდებიან გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალისაღიარება არ არის შესული გაუფასურების ერთიან შეფასებაში.

სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურების წარმოშობის შესახებ ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ზარალის თანხა ფასდება როგორც სხვაობა სესხებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და ნავარაუდევი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფებიდან ამოღებადითანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირდება სესხების და მოთხოვნების საწყისი ეფექტურისაპროცენტო განაკვეთით.სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული დანაკარგების გამოცდილებადაკორექტირებული მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველიინფორმაციის შესაბამისად უზრუნველყოფსსაფუძველს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შესაფასებლად.

როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და შემცირება ობიექტურად შეიძლება დაკავშირებული იყოს მოვლენასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა

გაუფასურების აღიარების შემდეგ, გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივები

სხვა არაფინანსური აქტივები, რომლებიც განსხვავდებიან გადავადებული გადასახადებისგან, ფასდება თითოეულ საანგარიშგებო დღეს, გაუფასურების შესახებ ნებისმიერი ნიშნების არსებობისთვის. არაფინანსური

აქტივებისანაზღაურებადიღირებულებაგანისაზღვრებაშემდეგიორიღირებულებიდანუდიდესი თანხისსაფუ ძველზე:

აქტივისგამოყენებითიღირებულებადამისირეალურიღირებულებარეალიზაციისხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების და აქტივისთვის სპეციფიური რისკის მიმდინარე საბაზრო შეფასებას. იმაქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, რომლებიც არ ახდენენ ფულადი ნაკადების გენერირებას, განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან მისი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული აღემატება მის აღდგენით ღირებულებას.

არაფინანსური აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდებამოგება ან ზარალში, ხოლო მისი აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგება იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს საწყის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის აღიარებამდე (ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე).

როგორც ვხედავთ კომპანიის შიდა პოლიტიკა ძალიან მწირია და არ მოიცავს სრულად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების და შფასების კრიტერიუმებს , ჩემი აზრით

სასურველი იქნებოდა თუ შიდა პოლიტიკით გაიწერებდა , რა შმთხვევაში აღიარედება აქტივი ან ვალდებულება ფინანსურ ინსტრუმენტად და როგორი იქნება მათი შემდგომი აღრიცხვისა დ ა შეფასები პოლიტიკა .

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა,რომელიც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადის დასათვლელად გამოიყენება საბალანსო ვალდებულების მეთოდი, რაც გულისხმობს დროებით განსხვავებას საანგარიშგებო პერიოდის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და დასაბეგრ ოდენობას შორის. შემდეგი სახის დროებითი სხვაობები არ წარმოიშვება: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მაკონტროლებელ ორგანიზაციას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის ცვლილების განრიგი და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შეიცვლება.გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გაყიდვას ან დაფარვას 2019 წლის პირველ იანვრამდე, არსებული საგადასახადო განაკვეთების მიხედვით.

შედეგად წარმოქმნილი გადასახდელი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როცა მოხდა დივიდენდის გაცხადება, მიუხედავად იმისა, რომელ პერიოდს მიეკუთვნება დივიდენდი ან როდის მოხდა მისი ფაქტიური გადახდა.

აქტივის საგადასახადო ბაზა არის თანხა, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიქვითება დასაბეგრი ეკონომიკური სარგებლიდან და საწარმო მიიღებს ამ აქტივის საბალანსო ღირებულების ანაზღაურების შემდეგ. თუ აღნიშნული ეკონომიკური სარგებელი არ იქნება დასაბეგრი, მაშინ აქტივის საგადასახადო ბაზა მისი საბალანსო ღირებულების ტოლია.

ბასს 8 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცვო შეფასებაში და შეცდომები განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და მისი შეცვლის კრიტერიუმებს. ამასთანავე, განიხილავს იმ კრიტერიუმებსაც, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სააღრიცხვო მიდგომებისა და განმარტებითი შენიშვნების შერჩევისას სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებისა და შეცდომების გასწორების დროს. სტანდარტი მიზნად ისახავს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობისა და საიმედოობის, ასევე ერთი და იმავე საწარმოს სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა საწარმოს ფინანსური ანგარიშგებების შესადარისობის გაუმჯობესებას.
ეს სტანდარტი კომპანიებს ეხმარება სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევაში,მისი ცვლილებისა და შეცდომების გასწორებაში.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენებისას, რომლის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია, რომელიც:
ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და
ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:

- სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;

- ნეიტრალურია, ე.ი. თავისუფალია სუბიექტური დამოკიდებულებისაგან;
-
- არის წინდახედული; და
- არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში ;

ასეთი შემთხვევების დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს და გაითვალისწინოს შემდეგი წყაროების გამოყენების შესაძლებლობა იერარქიულად:

ა) სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და

ბ) სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლები- სა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები და შეფასების კონცეფ- ციები.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილება:
ა) მოითხოვება სტანდარტის მიერ; ან
ბ) უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარ-დგენას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ზემოთ ჩამოტვლილია კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გამოიყენოს სამეურნეო ერთეულმა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების დროს, თუ რომელიმე მუხლს არ მიესადაგება კონკრეტულად არც ერთი სტანდარტი. თუმცა, წინამდებარე სტანდარტი მზღვეველს ანთავისუფლებს ამ კრიტერიუმების გამოყენებისაგან:

ა) სადაზღვევო ხელშეკრულების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ის გასცემს და

ბ) გადაზღვევის ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ფლობს.

ამასთან, წინამდებარე სტანდარტი მზღვეველს არ ანთავისუფლებს ბასს 8-ში მოცემული კრიტერიუმების ზოგიერთი შედეგისაგან. კერძოდ, მზღვეველი:

ა) არ აღიარებს ვალდებულების სახით რაიმე ანარიცხებს შესაძლო სამომავლო სადაზღვევო მოთხოვნებისათვის, თუ ეს მოთხოვნები წარმოიშობა სადაზღვევო ხელშეკრულებებით, რომლებიც არ არსებობდა საანგარიშგებო თარიღისათვის;

ბ) ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს ;

გ) ამოიღებს სადაზღვევო ვალდებულებას (ან სადაზღვევო ვალდებულების ნაწილს) თავისი ბალანსიდან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება გადახდილი იქნება – ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, ან გაუქმდება ან ამოიწურება მისი გადახდის ვადა;

დ) არ აკეთებს:

(i) გადაზღვეული აქტივების ჩათვლას შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებებით; ან

(ii) გადაზღვევის ხელშეკრულებების შემოსავლების ან ხარჯების ურთიერთჩათვლას, შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ხარჯებით ან შემოსავლებით.

ე) განიხილავს, არის თუ არა გაუფასურებული გადაზღვეული აქტივები.

კომპანიის მიერ გაწერილი შიდა პოლიტიკა მოცემულია საკმაოდ ვრცლად და თანხვედრაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. თითოეული მუხლი შესაბამის სტანდარტის დაცვითაა ჩამოყალიბებული. პოლიტიკაში აღრიცხვისა და

შეფასების კრიტერიუმებია მოცემული ძირითადად და გამომდინარე იქიდან რომ სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი გადასულია საერთაშორისო სტანდარტებზე. რა თქმა უნდა , აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებაც ხდება სტანდარტების შესაბამისად.

2.2.სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი’-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიგების მომზადება

ამ თავში განიხილავთ სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი’’-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და განვიხილავთ თუ როგორ გამოითვლება თითოეული მუხლი.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ასე გამოიყურება:

	31-დეკ-2017	**31-დეკ-2016**
	ლარი’000	**ლარი’000**
ძირითადი საშუალებები	1,486	1,347
არამატერიალური აქტივები	1,429	1,513
საინვესტიციო ქონება	155	166
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	12,768	12,768
გადავადებული საგადასახადო აქტივი	134	232
საბანკო დეპოზიტები	20,073	16,223
გაცემული კრედიტები	492	792
გადაზღვევის აქტივები	17,634	11,350
სადაზღვევო მოთხოვნები	34,767	35,072
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	5,062	7,305
სხვა აქტივები	14,841	12,856
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,412	7,602
სულ აქტივები	**115,253**	**107,226**

საკუთარი კაპიტალი		
ჩვეულებრივი აქციები	17,288	12,232
საემისიო კაპიტალი	126	126
გაუნაწილებელი მოგება	18,206	18,250
სულ საკუთარი კაპიტალი	**35,620**	**30,608**

ვალდებულებები		
სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები	**1**	**2**
სადაზღვევო პრემიის რეზერვები	37,788	39,014
ასანაზღაურებელი ზარალები	21,766	11,377
სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებები	8,039	8,098
საინვესტიციო ხელშეკრულების ვალდებულებები	5,982	5,906
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,058	12,223
სულ ვალდებულებები	**79,633**	**76,618**

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**115,253**	**107,226**

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავში სს ,, სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი'', ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს და ყოველი მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული და აღრიცხულია სტანდარტების მიხედვით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ძირითადი საშუალებების აღიარება აქტივად კომპანიაში ხდება მაშინ როცა კომპანია ამ აქტივიდან მომავალ ეკონომიკურ სარგებელსს მოელის. ის ფასდება თვითღირებულებით რომელშიც შედის აქტივის შეძენასთან და სამუშაო მდგომარებაში მოყვანასთან დაკავშირებული ხარჯები , ამ მუხლში გაერთიანებულია მიწა და შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და ოფისის აღჭურვილობა. კომპანია ძირითად საშუალებებს არიცხავს ცვეთას წრიფივი მეოდით ძირითადი აქტივის მომსახურების ვადიდან გამომდინარე. ფინანსური მდომარეობის ანგარიშგებაში ძირითადისაშუალებების საბალანსო ღირებულებაა შეტანილი , რომელიც წარმოადგენს აქტივის თვითღირებულებისა და ცვეთის სხვაობას. მიწას, რა თქმა უნდა ცვეთა არ ერიცხება.

ლარი'000	**მიწა და შენობები**	**კომპიუტერები და დაკავშირებული აღჭურვილობა**	**სატრანსპორტო საშუალებები**	**საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა**	**სულ**
ღირებულება					
1 იანვარი, 2017 წ.	1,216	1,862	319	1,048	4,445
დამატებები	-	343	68	82	493
გაყიდვები	-	-	(78)	-	(78)
31 დეკემბერი, 2017 წ.	**1,216**	**2,205**	**309**	**1,130**	**4,860**
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი, 2017 წ.	430	1,463	267	938	3,098
პერიოდის დარიცხვა	65	167	25	78	344

გაყიდვა	-	-	(68)	-	(68)
31 დეკემბერი, 2017 წ.	**495**	**1,639**	**224**	**1,016**	**3,374**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2017 წ.	**721**	**566**	**85**	**114**	**1,486**
ღირებულება					
1 იანვარი, 2016წ.	1,839	1,705	328	1,001	4,873
დამატებები	32	157	112	155	456
გაყიდვა	(655)	-	(121)	(108)	(884)
31 დეკემბერი, 2016 წ.	1,216	1,862	319	1,048	4,445

ლარი'000	მიწა და შენობები	კომპიუტერები და დაკავშირებული აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	სულ
დაგროვილი ცვეთა 1იანვარი, 2016წ.	857	1,301	248	859	3,265
პერიოდის დარიცხვა	228	162	44	82	516
გაყიდვები	(655)	-	(25)	(3)	(683)
31 დეკემბერი, 2016 წ.	430	1,463	267	938	3,098
წმინდა საბალანსო ღირებულება					

31 დეკემბერი, 2016 წ.	786	399	52	110	1,347

არამატერიალური აქტივების აღიარება კომპანიაში ხდება თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს აქტივის შესაძენად გადახდილ თანხას, მოსაკრებლების და გადასახადების ჩათვლით, ასევე მოიცავს იმ ხარჯებს რომელიც გაიწევაა არამატერიალური აქტივის სამუშაო ადგილზე დანერგვის და სამუშაო მდგომარეობაი მოყვანის დანახარჯებს.

არამატერიალური აქტივები გამომდინარე იქიდან რომ გრძელვადიანი აქტივებია, პირველ რიგში კომპანია განსაზღვრაავს აქვს გამოყენების ვადა თუ განუსაზღვრელია, ამის შემდეგ კი სავარაუდო მომსახურების ვადას ადგენს და ამორტიზირებულ ღირებულებას ყოველწლიურად ხარჯად აღიარებს. ამორტიზირებული ღირებულების გამოკლებით კი ანუ საბალანსო ღირებულებით ასახავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია არამატერიალურ აქტივს თვითღირებულების 15% აწესებს ამორტიზაციას .

კომპანიის მფლობელობაში მყოფი არამატერიალური აქტივებია ლიცენზიები პროგრამებზე.

საინვესტიციო ქონების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია მასთან დაკაავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლობა მიიღოს კომპანიამ და შესაძლებელია თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საინვესტიციო ქონების მუხლი მოოიცავს მიწას . კომპანია საინვესტიციო ქონებას აღიარებს მისი შეძენის დანახარჯებისა და აღდგენის დანახარჯების ჯამის ტოლი თანხით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით რაიმე გაუფასურების ღირებულების გამოკლებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

2016 წლის 19 ივლისს 2,800 ათასი ლარის მიმდინარე ღირებულების მიწის ნაკვეთი გაიყიდა არადაკავშირებულ კომპანიაზე 3,850 ათას ლარად.

მენეჯმენტის შეფასებით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან. რეალური ღირებულება მიეკუთვნება რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, რადგან გამოყენებული შეფასების ტექნიკა მოიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულება განსაზღვრულია

საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რაც ეფუძნება ბაზარზე ბოლო გარიგებებს ან გამოცხადებულ წინადადების ფასებს მსგავს ქონებაზე.

2017 და 2016 წლებში, არ იყო აღიარებული საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან.

	31-დეკ-2017	**31-დეკ-2016**
	ლარი'000	**ლარი'000**
ნაშთი 1 იანვარს	166	2 966
გაყიდვები	(11)	(2,800)
ნაშთი 31 დეკემბერს	**155**	**166**

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

კომპანიას ყავს სამი შვილობილი კომპანია, რომელში ინვესტიციებიც ასე გამოიყურება , კომპანიის შიდა პოლიტიკის თანახმად, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დაცვითაა მიღებული სს,სადაზღვევო კომპანიაჯი პი აი ჰოლდინგ-ს'' აქვს კონტროლი შვილობილ კომპანიების საოპერაციო და ფინანსურ საკითხებში. ყველა კომპანიაში ფლობს 50% და მეტს. ინვესტიციებს კომპანია აღრიცხავს როგორც თვითღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობა.

	საქმიანობის სფერო	**31-დეკ-2017 ლარი'000**	**კუთვნილება %**	**31-დეკ-2016 ლარი'000**	**კუთვნილება %**
სს „სამედიცინო კონცერნი კურაციო“	სამედიცინო მომსახურება	680	100	680	100
შპს „ჯეოჰოსპიტალსი“	ჰოსპიტალური მომსახურება	10,400	65	10,400	65

შპს „სახალხო აფთიაქი“	სააფთიაქო მომსახურება	1,688	50	1,688	50
		12,768		**12,768**	

გადავადებული საგადასახადო აქტივი კომპანიის აქტივია ,რომელიც მოგების გადასახადის ხარჯს უკავშირდება და წარმოიქმნება სხვაობთ საგადასახადო და სააღრიცხვო მოგებებს შორის სხვაოობით (გვაქვს ან გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება). გამომდინარე იქიდან რომ ეს ანგარიშგება 2016-2017 წლების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ასახავს გვაქვს გადავადებული საგადასახადო აქტივი. მას შემდეგ რაც საქართველოში აღარ გამოიყენება ბასს 12 მოგების გადასახადი და გადავედით ესტონურ მოდელზე

საბანკო დეპოზიტები კომპანიისთვის არის ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე, სს ,,სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის'' ძირითადი მომსახურე ბანკი საქართველოს ბანკია.

გადაზღვევის აქტივი კომპანიის აქტივს წარმოადგენს, რომეილიც კომპანიას წარმოეშვება გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე. გადაზღვევის ხელშეკრულება არის პირდაპირი მზღვეველის მიერ დამზღვევთან დადებული სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული რისკის ნაწილის გადაცემა მეორე მზღვეველზე (გადამზღვეველზე), რომელსაც არ აქვს პირდაპირი ურთიერთობა დამზღვევთან.

თუ გადაზღვევის პოლისის მფლობელის გადაზღვეული აქტივი გაუფასურდება,

პოლისის მფლობელი შესაბამისად ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. გადაზღვეული აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ:

ა) არსებობს ობიექტური მტკიცებულება, გადაზღვეული აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი მოვლენიდან გამომდინარე, იმის შესახებ, რომ

გადაზღვევის პოლისის მფლობელი ვერ მიიღებს ყველა თანხას, რომელიც მას ეკუთვნის ხელშეკრულების პირობებით; და

ბ) ეს მოვლენა ისეთ გავლენას ახდენს გადაზღვევის შედეგად გადაზღვევის

პოლისის მფლობელის მიერ მისაღებ თანხაზე, რომელიც საიმედოდ შეფასებას ექვემდებარება.

ფინანსური აქტივებია ნებისმიერი აქტივი, როგორიცაა: ფულადი სახსრები; სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი; საწარმოს სახელშეკრულებო უფლება; ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით (ბასს 32, პ.11)

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საფუძვლად ედება მათ შეფასებას. ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია (ფასს 9, პ.4.1.2):

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

	31-დეკ-17	**31-დეკ-16**
	ლარი'000	**ლარი'000**
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი – გადაზღვევა	7,168	7,494
აუნაზღაურებელი ზარალების რეზერვი – გადაზღვევა	10,466	3,857
	17,634	**11,350**

მოძრაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში- გადაზღვევა	**2017**	**2016**
	ლარი'000	**ლარი'000**
ნაშთი 1 იანვრისთვის	**7,493**	**7,404**

სადაზღვევო მოთხოვნები კომპანიას წარმოექმნება სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე როგორც წესი, სადაზღვევო მოთხოვნების აღიარება ხდება პოლისის გაცემისას და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ყველა დაზღვეული კომპანისთვის დებიტორებში აღირიხება.

გადაგვადებული აკვიზიციური ხარჯი არის კომპანიის აქტივი, ესაა მოთხოვნა წინასწარ გაწეული ხარჯისათვის. აკვიზიციური ხარჯები გაიღება კომპანიის მხრიდან ახალი კლიენტების მოზიდვისა და ძველი კლიენტების შენარჩუნებისათვის. ეს არის მარკეტინგული ხარჯი პრემიების მოსაზიდად, რომელიც გაიწია შდეგის დადგომამდე ანუ არ მიუღიაკომპანიას ჯერ მომსახურება რისთისად გასწია ხარჯი, ამიტომწარმოექმნება მოთხოვნა, რაც აქტივია კომპანიისთვის.

სხვა აქტივები კომპანიის მოთხოვნებია მზღვეველის შვილობილი კომპანიისადმე წინასწარ გაწეული ხარჯის გამო, ესენია მოთხოვნები სუბროგაციიდან ,რომელშიც გადაზღვევის ხელშეკრულების თანახმად წარმოქმნილი მიმდინარე მოთხოვნები იყრის თავს.

ავანსები შვილობილ კომპანიებზე და სხვა კონტრაგენტებზე, იგულისხმება შვილობილ ორგანიზაციების და სხვა კონტრაგენტებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები მოიცავს სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით კონტრაგენტებზე გადახდილ ავანსებს, რაც დაახლოებით შეადგენს 2,830 ლარს (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,770 ათას ლარს).

სხვა მოთხოვნებში ასევე კომპანიას ნაჩვენები აქვს საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მოთხოვნები, რაც გულისხმობს შმდგომი გადახდის პირობით გაყიდულ საინვესტიციო ქონებას 2017 წელს.

	31-დეკ-2017	**31-დეკ-2016**
	ლარი'000	**ლარი'000**
მოთხოვნები სუბროგაციიდან	6,619	5,804
ავანსები შვილობილ ორგანიზაციებსა და სხვა კონტრაგენტებზე *	4,402	3,352
მოთხოვნები საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან	**2,699**	**3,548**

სხვა	**121**	**152**
	14,841	**12,856**

ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება კომპანიის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე. ერთ-ერთი ყველაზე მაღალლიკვიდური ფინანსური აქტივია .

	31-დეკ-2017	**31-დეკ-2016**
	ლარი'000	**ლარი'000**
ფული სალაროში	61	40
ფული ბანკებში	6,351	7,562
ფული და ფულის ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინდივიდუალურ ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში	**6,412**	**7,602**

სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები აღირიცხება როგორც ფინანსური ვალდებულეები,რადგან ისაკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმებს. სადაზღვევო ხელშეკრულება არის ფინანსური ვალდებულება რომელიც მზღვეველს აკისრებს დაზღვეულის რისკების თავის თავზე აღებას სადაზღვევო შემთხვევის შემთხვევაში და ამ ხელშეკრულების საფუძველზე აუცილებელი გახდება კომპანიის მხრიდან ხარჯების გახება ამ ზარალების დასაფარავად.

სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც არ არის გადაზღვევის ხელშეკრულება

არის პირდაპირი სადაზღვევო ხელშეკრულება. გადაზღვევის ხელშეკრულება არის

სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც გასცა ერთმა მზღვეველმა (გადამზღვეველმა),

რათა მეორე მზღვეველს (გადაზღვევის პოლისის მფლობელს) აუნაზღაუროს

გადაზღევის პოლისის მფლობელის მიერ გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების

ზარალი. გადამზღვევი არის გადაზღვევის ხელშეკრულების პოლისის მფლობელი.

სადაზღვევო ხელშეკრულების მახასიათებლები წარმოდგენილია:

- მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი;
- განუსაზღვრელი მომავალი მოვლენები;
- უარყოფითი გავლენა პოლისი მფლობელზე;

როგორც უკვე აღვნიშნეთ კომპანია შიდა პოლიტიკის თანახმად ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს , რომლის საშუალებითაც ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის აფასებს, რამდენად ადეკვატურადაა აღიარებული სადაზღვევო ვალდებულბები და ხომ არ საჭიროებს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულბებოს გაზრდას , ამ ყველაფრისთის კომპანია იყენებს თავისი სადაზღვევ ხელშეკრულბებით გათვალისწინებულ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები ჯამია გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის , გაცხადებული ზარალის რეზერვისა და განუცხადებელი ზარალის რეზერვის

	31-დეკ-17 **ლარი'000**	**31-დეკ-16** **ლარი'000**
არასიცოცხლის კონტრაქტები:		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	37,788	39,014
გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი (RBNS)	19,767	10,121
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	1,999	1,256
	59,554	**45 71**

სადაზღვევო პრემიის რეზერვი ცალკე გამოიანგარიშება საწყის ნაშთს დამატებული მთელი წლის მოზიდული პრემია და გამოკლებული გამომუშავებული პრემია წლის დასაწყისში.

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
ნაშთი 1 იანვრისათვის	39,014	35,324
მოზიდული პრემია წლის განმავლობაში	98,904	87,064
გამომუშავებული პრემია წლის განმავლობაში	(100,130)	(83,4374)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**37,788**	**39,014**

სადაზღვევო ზარალების რეზერვების მოძრაობა

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
ნაშთი 1 იანვრისთვის	11,377	10,547
მიმდინარე წლის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევების მოსალოდნელი ღირებულება	75,175	48,885
წინა წელს მომხდარი ზარალების შეფასების ცვლილება	(2,609)	(1,210)
გადახდილი ზარალები წლის განმავლობაში (ბრუტო)	(62,175)	(46,845)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**21,766**	**11,377**

სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო ვალდებულებების განსაზღვრის მეთოდები

გამოუმუშავებელი პრემიების ანარიცხები

გამოუმუშავებელი პრემიები სანარიცხები ეფუძნება მოზიდულ პრემიებს და გამოითვლება პროპორციულობის საფუძველზე, პოლისის მომავალი პერიოდის შესაბამისად, რომლის პრემიაც იქნა მოზიდული.

სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებები

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი'000	ლარი'000
გადამზღვეველზე გადასახდელი პრემია	7,898	4,326
გადამზღვეველზე გადასახდელი რეგრესები	141	3,772
	8,039	**8,098**

საინვესტიციო კონტრაქტების ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ ვალდებულებას აღიარებულს ამორტიზებული ღირებულებით.

რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა	**31-დეკ-2017**	**31-დეკ-2016**
• ნებაყოფლობით ფონდებში	12,006	12,006
მთლიანი აქტივები მართვის ქვეშ (ლარი'000)	**5,982**	**5,906**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიისთვის არის მოკლევადიანი ვალდებულებები , ანუ კრედიტორულ ვალდებულებს წარმოადგენს. ამ მუხლში გაერთიანებულია ყველა მოკლევადიანი ვალდებულება, არა მხლოდ კრედიტორული არამედ , გადასახდელი ხელფასები , მღებული ავანსები და სხვა.

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი'000	ლარი'000
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე	1,686	1,470
გადასახდელი საკომისიო	1,367	7,535
ავანსად მიღებული პრემიები	1,261	842
სხვა ვალდებულებები	1,744	2,376
	6,058	**12,223**

2.3.სს „ სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი-ს" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გვეხმარება გავაკეთოთ საწარმოს ქონებრივი ანალიზი, რომელიც გვეხმარება შევისწავლოთ საწარმოს მფლობელობაში მყოფი მატერიალური , არამატერიალური და ფულადი რესურსების მოცულობის , სტრუქტურის და დინამიკის მაჩვენებლები.

საწარმოს ქონებრივი ანალიზის ამოცანებია :

- ✓ საწარმოს აქტივების სტრუქტურის შესწავლა;
- ✓ მიმდინარე აქტივების სტრუქტურის და დინამიკის შესწავლა;
- ✓ გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- ✓ აქტივების დაფინანსების წყაროების სტრუქტურის შესწავლა;

ანალიზის მიზანია გამონახოს ოპტიმალური გზა აქტივების და მათი დაფინანსების წყაროებს შორის .

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი შეისწავლება შემდეგი მაჩვენებლების საშუალებით:

- ❖ აქტივების მოცულობის ცვლილება
- ❖ მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი
- ❖ გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი
- ❖ ძირითადი საშუალებები
- ❖ ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი
- ❖ წმინდა აქტივების ღირებულება
- ❖ საკუთარი საბრუნავი სახსრები
- ❖ საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა

- საწარმოო მარაგების წილი

ქონებრივი ანალიზის დროს ასევე დინამიკაში შეისწავლება აქტივების ცვლილების ტემპი გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

სს ,, სადაზღვევო კომპანია ჯი აი ჰოლდინგის'' მაგალითზე გამოვთვლი ქონებრივი ანალიზის კოეფიციენტებს .

აქტივების მოცულობის ცვლილება - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ნათლად ჩანს თუ როგორ შეიცვალა აქტივების ჯამური მაჩვენებელი, 2017 წელს აქტივების ჯამი , წინა წელთან შედარებით 8 027 ლარით გაიზარდა , აქტივების ზრდა დადებითი მოვლენაა კომპანიისთვის, რაც მის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას ნიშნავს და წარმატებულ ფუნქციონირებაზე მიანიშნებს.

მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი - მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი გამოითვლება მიმდინარე აქტივების ფარდობით მთლიანი აქტივების რაოდენობასთან და გამრავლებული 100-ზე , ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა ნაწილი უკავია მოკლევადიან აქტივებს ჯამურ აქტივების რაოდენობაში .

ჩვენს შემთხვევაში ასე გამოითვლება : 99 415/115 253*100=86% 2017 წელი

91 432/ 107 226*100= 85% 2016 წელი

კომპნიის მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალი 85/ 86% რაც ნიშნავს იმას რომ საბრუნავ საშუალებების მაღალ პროცენტულ წილს ინარჩუნებს კომპანია. ეს მაჩვენებელი დინამიკაში მნიშვნელოვნად არ იცვლება როგორც ვხედავთ .

გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი , ასევე გამოიანგარიშება გძელვადიანი აქტივების შეფარდებით აქტივების სრულ მოცულობასთან **და ასე გამოდის :**

15838/15253 * 100%= 0,14% 2017 წელი

15794/107226 *100% =0,15% 2016 წელი

გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი 2017 წელს შემცირდა , რაც წინა კოეფიციენტიდანაც ჩანს სადაც მიმდინარე აქტივების წილია გაზრდილი მთლიან მოცულობაში 2017 წლის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების პროცენტული მაჩვენებელი იქნება იგივე რაც წინა კოეფიციენტი გამოვთვალეთ რადგან , ერთ კატეგორიაში გადის ყველა ის აქტივი რომელიც გამოყენება 1 წელზე მეტი ვადიტ და კომპანიას ასეთი ოთხი ძირითადი, გრძელვადიანი აქტივი აქვს , რომლის გაანგარიშებაც ცალკეა მოცემული.

ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი - გაიანგარიშება წლის განმავლობაში შეძენილი ახალი ძირითადი საშუალებების ღირებულებით შფარდებით წლის ბოლოს არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან. ეს კოეფიციენტი ძირითადი საშუალებების გაახლების დონეს ახასიათებს.

493/ 1486= 0,33 განახლების კოეფიციენტი (2017 წელი) 493 არის ახალი ძირითადი საშუალე ბების შესყიდვის ღირებულება .

წმინდა აქტივების ღირებულება გამოითვლება სხვაობით საბალანსო ღირებულებასა და ვალდებულებებს შორის, ეს კოეფიციენტი გვანახებს თუ რა ნაწილი აქტივები არუს შეძენილი საკუთარი სახსრებით და რა თქმა უნდა დადებიღი მაჩვენებუელია , რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი მით უფრო ნაკლებია რისკი .

წმინდა აქტივები 2017 წელს = 115 253- **79,633= 35 620**

წმინდა აქტივები 2016 წელი = 107 226- **76,618= 30 608**

როგორც ვხედავთ 2017 წელს წმინდა აქტივები **5 012 000 ლარით გაიზარდა** რაც ძალიან კარგი მაცენებელია და ნიშნავს იმას რომ კომპანიას საკუთარი სახსრებით უფრო მეტი აქტივი აქვს დაფინანსებული ვიდრე ნასესხებით ,

ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურული ანალიზის მეშვეობით შეისწავლება საწარმოს ქონებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა , რომელიც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი/ აქტივები

35,620/ 115 253 =0,31 2017 წელი

30,608/ 107 226= 0,29 2016 წელი

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფ.= ვალდებულებები/ აქტივების ჯამი

79,633/115 253= 0, 69 2017 წელი

76,618/ 107 226 = 0,71 2016 წელი

ამ კოეფიციენტების გამოთვლის შე მდეგ შეგვიძლია ვთქვათ რომ სს ,, ჯი პი აი ჰოლდინგის ‘‘ აქტივების დაფინანსების ძირითადი წყარო მოზდული კაპიტალია და შეადგენს 69%-ს რაც ბევრად აღემატება საკუტარი სახსრებით დაფინანსებულ აქტივების რაოდენობას.

კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფ= ვალდებულებები/კაპიტალი

79 633 / 35 620=2,24 2017 წელი

76,618 / 30,608 =2,5 2016 წელი

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის ყოველი ლარი რამდენი ლარი ვალდებულებითაა დატვირთული, ამ კოეფიციენტის ზრდა ფინანსურ რისკებს ზრდის და აჩვენებს კომპანიის დამოკიდებულობას.

წინა წლის ამავე მაჩვენებელს თუ შევადარებთ დავინახავთ რომ კოეფიციენტი შემცირებულია, რაც ნიშნავს რომ დამოკიებულობის დონე შემცირდა 2017 წელს.

დასკვნა

სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს აღიარებს და აფასებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. როგორც აღვნშნეთ კომპანიას საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აქვს გარკვეული განსხვავებული მუხლები თუმცა მათი აღიარებაც და შფასება ხდება ისევე, როგორც მის კატეგორიაში მყოფი სხვა აქტივების.

სადაზღვევო ხელშეკრულებები იდენტიფიცირდება ფასს 4-ით ხდება, ესაა სტანდარტი , რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულების იდენტიფიცირების კრიტერიუმებს გვაძლევს, მაგრამ არ ეხება სადაზღვევო ხელშეკრულებებს და მათ აღრიცხვას , რაც მის ნაკლოვანებას წარმოადგენს. ფასს საბჭო მუშაობს უკვე ახალ სტანდარტზე, რომელიც ცნობილია ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების სახელით და ამოქმედდება 2021 წელს, ეს სტანდარტი აღმოფხვრის იმ ნაკლოვანებებს , რაც ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებს აქვს.

სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი, ისევე როგორც სხვა ფინანსური დაწესებულებები არ გადასულა მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე და განაგრძნობს ამ გადასახადის გადახდას ძველი მეთოდით. სწორედ ამიტომ წარმოექნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყოველთვისგადავადებული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანიის ბალანსში ასევე მუდმივად გვხდება საბანკო დეპოზიტები, რომელიც არის კომპანიის მინიმალური კაპიტალი , რომელიც აუცილებელია იმისთვის რომ ფუნქცუიონირება შეძლოს, როგორც სადაზღვევო კომპანიამ.

კომპანია გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯში აღრიცხავს აკვიზიციურ ხარჯებს იმ შემოსავლების პროპორციულად, რომელიც მოსალოდნელია რომ მიიღება სწორედ ხარჯის

გაწევის ფონზე. რეალურად ეს ხარჯი გაიწევა შემოსავლების მიღების მიზნით და აისახება როგორხ აქტივი , სანამ შესაბამისი ოდენობის მოგებას არ მიიღებს კომპანია.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად და პროგნოზების გასაკეთებლად, ასევე საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კომპანიის ფინანსური ცვლილება და გამომწვევი მიზეზები.

საწარმოო აქტივების სტრუქტურა, გვიჩვენებს რომ კომპანიაში ყოველწლიურად უფრო მეტი აქტივია , რაც არის დადებითი მოვლენა, რადგან კომპანიამ გაზარდა ხელთ არსებული ქონება .

აქტივების საერთო სტრუქტურა გვიჩვენებს მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების წილს მთლიან აქტივებში, მიმდინარე აქტივების, ანუ საბრუნავი აქტივების ზრდა დადებითი მოვლენაა გამომდინარე იქიდან , რომ ესაა ლიკვიდური აქტივები და კომპანია უფრო სწრაფად შეძლებს მიიღოს სარგებელი. კომპანიაში მიმდინარე აქტივების წილი ზრდის ტემპით ხასიათდება, თუმცა ესაა 1% ზრდა და ძალიან დიდ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ლიკვიდურობაზე.

ძირითად საშუალებების განახლების კოეფიციენტი გვიჩვენებს ჩვენს შემთხვევაში, რომ ძირითადი საშუალებები მოძველებულია.

წმინდა აქტივების ღირებულება, ქონების იმ ნაწილს გვიჩვენებს , რომელიც კომპანიას შეძენილი აქვს საკუთარი სახსრებით, ეს მაჩნებელია ძალიან მნიშვნელოვანია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში დადებითია, რადგამ ყოველ წელს იზრდება კომპანიაში წმინდა აქტივების ჯამი. 2018 წლის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 41%-ია.

კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი გვიჩვენებს 1 ლარი კაპიტალი რამდენი ლარი ვალდებულებითაა დატვირთული, ეს კოეფიციენტი ზოგადად 1-ზე მეტი არ უნდა იყოს, თუმცა ჯი პი აი ჰოლდინგის შემთხვევაში არის 2 და უფრო მეტი. ვფიქრობ ეს

გამოწვეულია საქმიანობიდან გამომდინარე რადგან კომპანია ყოველგაყიდულ პოლისზე აღიარებს ვალდებულებასაც დაზღვეულების წინაში და ვალდებულებების ნაწილი საკმაოდ დიდი აქვს. ბაზრის სხვა კომპანიებსაც ეს კოეფიციენტი დაახლოებით 2-ის ფარგლებში აქვთ.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები გვიჩვენებს რომ ზოგადად 2017 წელი 2016 წელთან იყო ნაკლებ ლიკვიდური თუმცა 2018 წელს გაუმჯობესდა . შეიძლება ითქვას რომ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გარდა ყველა კოეფიციენტი ნორმის ფარგლებშია. ანუ კომპანიის ლიკვიდურობა ნორმალურია დაზოგადად ყოველ წელს უკეთესი ფინანსური მდგომარეობა გვაქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ბასს 1 ,, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ‘’ 2015
2) ბასს 2 ,,მარაგები“ -2015
3) ბასს 4 ,, სადაზღვევო ხელშეკრულებები’’ 2015
4) ბასს 7 ,,ფულადი ნაკადების ანგარიშგება’’ 2015
5) ბასს 8 ,,სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შცდომები’’ 2015
6) ბასს 9 ,,ფინანსური ინსტრუმენტები’’ 2015
7) ბასს 16 ,,ძირითადი საშუალებები“ 2015
8) ბასს 32 ,, ფინანსური ინსტრუმენტები -წარდგენა’’ 2015
9) ბასს 36 ,,აქტივების გაუფასურება’’ 2015
10) ბასს 37 ,, ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები“ 2015
11) ბასს 38 ,, არამატერიალური აქტივები“ 2015
12) ბასს 40 ,, საინვესტიციო ქონება’’ 2015
13) ბასს 41 ,,სოფლის მეურნეობა’’ 201
14) ფასს 1 ,, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი გამოყენება’’ – 2015
15) ფინანსური ანგარიშგების კონცეფტუალური საფუძვლები
16) კვატაშიძე ნ. ხორავა ა. გოგრიჭიანი ზ. ,,ფინანსური ანგარიშგება’’ 201
17) კვატაშიძე ნ. ,,კორპორაციული ანგარიშგება’’ 2019
18) ხარაბაძე ე. ,,ფინანსური აღრიცხვა’’ 2018
19) ჭილაძე ი. ,,ფინანსური ანალიზი’’ 2018
20) Walter T. Harisson Jr. Charles T. Horngren ,,Financial accounting’’ 2009
21) www.accountingcoach.com
22) https://www.wallstreetmojo.com/category/accounting/balance-sheet/
23) https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/accounting/types-of-assets/